დედოფლისწყარო
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

# შირაქი

SHIRAKI
www.opentext.ge
გამოდის 1937 წლიდან

№24 (9.540)
6 ივლისი 2012 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

## სასწრაფო-სამედიცინო და სამაშველო პუნქტები-ქედების ზონას



უკვე რამდენიმე წელია, ქედების ზონის მოსახლეობა სასწრაფო დახმარების მანქანას ითხოვს. მართალია, ზემო ქედში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ამბულატორია ფუნქციონირებს, რომელიც კვალიფიციური კადრითაა დაკომპლექტებული, მაგრამ სასწრაფო-გადაუდებელი შემთხვევების დროს მოსახლეობაც და მედპერსონალიც სერიოზული პრობლემის წინაშე იდგა: დროულად ვერ ახდენდნენ ავადმყოფების დედოფლისწყაროს საავადმყოფოში გადაყვანას, ეს ფაქტორი კი ზოგჯერ ფატალური შედეგების ალბათობას ზრდიდა. დედოფლისწყაროს ადგილობრივი ხელისუფლების მცდელობამ შედეგი გამოიღო და 2 ივლისს ზემო ქედში, ყოფილი საავადმყოფოს შენობაში, სასწრაფო სამედიცინო დახმარების პუნქტი გაიხსნა. როგორც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების უფროსმა ნუკრი ბალაშვილმა აღნიშნა, სასწრაფო დახმარების ბრიგადა მორიგეობით ივლის ზემო ქედში და ამ ზონის მოსახლეობას 24 საათიანი გრაფიკით მოემსახურება. ავადყოფებს პირველად სამედიცინო დახმარებას ადგილზე აღმოუჩენენ, საჭიროების შემთხვევაში კი სასწრაფო დახმარების მანქანით დედოფლისწყაროს საავადმყოფოში გადაიყვანენ. სასწრაფო დახმარების გამოძახება ცენტრალიზებულად მოხდება. ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან აქცენტი გაკეთდა სასწრაფო დახმარების გამოსაძახებელი სატელეფონო ნომრების თვალსაჩინო ადგილებზე გამოკვრის შესახებ.

ყოფილი საავადმყოფოს შენობის დათვალიერების შემდეგ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან ბალაშვილმა და მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ შანშიაშვილმა, შესაბამის სამსახურებს დავალება მისცეს შერჩეული ოთახების გარემონტების, კერძოდ, კარ-ფანჯრების შეცვლის, წყლის შეყვანის და სხვა კოსმეტიკური სამუშაოების ჩატარების თაობაზე. ზემოქედელებმა კმაყოფილება გამოხატეს ამ ფაქტთან დაკავშირებით. ევროპის სამგზის ჩემპიონმა ჭიდაობა ძიუდოში, ზაზა კედელაშვილმა აღნიშნა, რომ სოფლის მთავარი პრობლემა უკვე გადაიჭრა და სამედიცინო პერსონალსაც მალე უკეთესი სამუშაო პირობები შეექმნება; სასწრაფო დახმარების ბრიგადა ალაზნისპირა სოფლების მოსახლეობასაც მოემსახურება.

ზემო ქედიდან მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები არხილოსკალოს ეწვივნენ, სადაც სახანძრო დაცვის პუნქტი გახსნეს. სოფლის ცენტრში არსებულ ორსართულიან შენობაში სარემონტო სამუშაოები სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და მალე სახანძრო დაცვის ბრიგადები განახლებულ ოფისში განთავსდებიან.საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან ბალაშვილმა მეხანძრეებს სამსახურის დაწყება მიულოცა და წარმატებული საქმიანობა უსურვა.

ამიერიდან ქედების ზონის ექვს სოფელს სახანძრო დაცვის 12 კაციანი ჯგუფი მოემსახურება, ისინი 4 სმენად იმუშავებენ. სახანძრო სპეცავტომანქანა მწყობრშია და მას 2 მძღოლი მოემსახურება.

## ზოლიანი საწამლავი

წელს საზამთრო და ნესვი უჩვეულოდ ადრე გამოჩნდა. მაისის დასაწყისში ცენტრალური ტრასების გასწვრივ მწვანე გორები აღიმართა. — სადაური საზამთროა? — კითხულობს ხალხი, კითხულობს, რადგან ყველამ იცის, რომ შეუძლებელიასაზამთრო ადრე გაზაფხულზე საქართველოში ბუნებრივ პირობებში მოიყვანო და აპრილ — მაისში მოკრიფო.

— ჩვენია, ლაგოდეხისაა, - როგორც წესი, ასე პასუხობს გამყიდველი.

სინამდვილეში ეს "ლაგოდეხის საზამთრო" (საიდანღაც იმპორტირებული) ნიტრატების ნამდვილი საწყობია!

ამერიკელებმა, რომელნიც ცნობილნი არიან საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლით, გამოაქვეყნეს მონაცემები, საიდანაც ირკვევა, რომ ბოლო 70 წლის განმავლობაში ავთვისებიანი დაავადებების მსხვერპლი 1 მილიონი ამერიკელი გახდა, ნიტრატების სახით კარცეროგენული პესტიციდური სასუქების საკვებიდან ორგანიზმში პირდაპირი მოხვედრის გამო. ნიტრატების სიმუხთლე იმაში მდგომარეობს, რომ მოწამვლის სიმპტომები ხალხში არასდროს ასოცირდება ამ საწამლავთან. შრომისუნარიანობა დამიქვეითდა? — ე.ი. დავიღალე; თავბრუ დამეხვევა? — ნამდვილად გადავიღალე,...ხოლო გუშინ რომ უჩვეულოდ ადრე მოწეული ხილი ან ბოსტნეული მიირთვით, ეს არავის აეჭვებს.

იმის შესახებ, რომ ნიტრატები, ნიტრიტები, ფოსფორი და ქლორი — არასეზონურად მოწეული პროდუქტების აუცილებელი შემადგენელი, არღვევს ქსოვილისა და უჯრედის მთლიანობას, ცოტამ თუ იცის. ბოლოსდაბოლოს, წლიდან წლამდე ადამიანის უჯრედში იმდენი ნიტრატი გროვდება, რომ უჯრედი გადაგვარდება და თავს იჩენს კიბო. Aამის მერე მკურნალობენ კიბოს და ერთ — ერთ ყველაზე სავარაუდო მიზეზზე — ნიტრატზე ხმას არავინ იღებს. შედეგად ნიტრატების შემზარავ როლზე და მისგან თავის დაცვის ხერხებზე მოსახლეობამ არაფერი იცის

ნიტრატები პრაქტიკულად ჩვენი ბოსტნეულისა და ხილის აუცილებელი კომპონენტი გახდა. Aადრე ითვლებოდა, რომ ქიმიკატებით გაჯერებული ხილ — ბოსტნეულიმხოლოდ ადრე გაზაფხულზე თურქეთიდან შემოდიოდა, მაგრამ როგორც ირკვევა საფრთხე ზაფხულშიც არანაკლებია. ვისაც მიწასთან საქმე აქვს, იცის, რა უკონტროლოდ გამოიყენება ჩვენში სასუქები. ავიღოთ თუნდაც აზოტოვანი სასუქი. Aის რუსთავში მზადდება და შესაბამისად შედარებით დაბალი ფასის გამო ყველაზე ხელმისაწვდომია მოსახლეობისთვის. შედეგად ეს ქიმიკატი კატასტროფული რაოდენობითა და დოზით გამოიყენება ყველა ბაღჩეულისა თუ ხილის მოსაწევად.

სხვა უბედურებაა გზის ნაპირზე გასაყიდად გამოტანილი საზამთრო და ნესვი. ეკოლოგები პირდაპირ მიუთითებენ — საპრანსპორტო მაგისტრალების გასწვრივ ბენზინის წვის შედეგად გამოიყოფა ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებით საშიში მძიმე მეტალები: ტყვია, კადმიუმი და მენდელეევის მთელი ტაბულა. საზამთრო შეიწოვს ზედაპირიდან ამ ქიმიკატებს და აგროვებს რბილობში. აღსანიშნავია, რომ ამ ქიმიკატებით გაჯერებული საზამთროს გემო უარესობისკენ არ იცვლება, ისე რომ დიდი შანსია "ტკბილად" მოიწამლოთ. თანაც, მოწამვლას განაპირობებს არა შეჭმული საზამთროს ან ნესვის რაოდენობა, არამედ ის, თუ რა რაოდენობის საწამლავია მასში, ისე რომ შეიძლება ერთი ნაჭერიც საბედისწერო გამოდგეს.

ვიყიდოთ თუ არა არასეზონური ხილი, ან მაგისტრალის გასწვრივ აღმართული გორიდან საზამთრო, ყველამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, თუმცა კი, სამწუხაროდ, მოწამვლის ან უფრო სერიოზული გართულებების რისკი დიდია. მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯანსაღი პროდუქტის შეძენის შემთხვევაში მას ჩვენს ჯანმრთელობაზე მხოლოდ დადებითი შედეგის მოტანა შეუძლია.

მიხეილ მღებრიშვილი



### წყალს ითხოვენ სოფელ ხორნაბუჯში, მეგობრობის ქუჩაზე

გვ. 5

### კახეთში ცხვარი იხოცება - მეცხვარეთა ასოციაცია ვაქცინების უკმარისობაზე საუბრობს



გვ. 5

**ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!**

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www.dedoplistskaro.ge

C M Y K

## ფერმერულ ოჯახებს შემოსავლების ზრდაში დაეხმარებიან

კახეთის რეგიონის რამდენიმე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ფერმერულ ოჯახებს შემოსავლების ზრდაში შვეიცარიელები რამდენიმე წლის განმავლობაში დაეხმარებიან.

პროექტის "საბაზრო შესაძლებლობები საარსებო პირობების გასაუმჯობესებლად" საზეიმო გახსნა სიღნაღის ეროვნულ მუზეუმში გაიმართა. სამწლიანი პროექტი მიზნად ისახავს დაბალშემოსავლიანი ფერმერული ოჯახების შემოსავლების სტაბილური ზრდის ხელშეწყობას დედოფლისწყაროს, საგარეჯოსა და სიღნაღის რაიონებში.

"ფერმერული ოჯახების 85%-ს ჰყავს ერთიდან ათ ძროხამდე. მათი უმრავლესობა საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებს რძის პროდუქციას, მხოლოდ დაახლოებით 20% ახდენს რძის პროდუქტებისა და ხორცის რეალიზაციას მცირე ოდენობით. მცირე ფერმერების ასეთი ფართოდ გავრცელებული სასაქონლო მეურნეობის არსებობა ნიშნავს, რომ სასაქონლო წარმოების მიზანმიმართული განვითარება და მართებულად განსაზღვრული მარკეტინგული საქმიანობის გატარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მცირე ფერმერების შემოსავლების ზრდას მიზნობრივ რაიონებში", - განაცხადეს კომპანია HEKS-EPER-ში.

როგორც გაზეთ „შირაქს" ორგანიზაციიდან აცნობეს, პროექტი ფინანსდება და ხორციელდება შვეიცარული ორგანიზაცია HEKS-EPER-ის წარმომადგენლობის მიერ საქართველოში.

## კახეთის პოლიციის უფროსი გაათავისუფლეს

შს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი კახა გიგოლაშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. საკადრო ცვლილება შს მინისტრად ბაჩო ახალაიას დანიშვნას უკავშირდება.

გავრცელებული ინფორმაციით, ახალაიამ სხვა რეგიონების პოლიციის უფროსებიც დაითხოვა. საკადრო ცვლილებები შს რაიონული სამმართველოების ხელმძღვანელებს ჯერ არ შეხებიათ.

კახა გიგოლაშვილი შს კახეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს 2011 წლის სექტემბრიდან ხელმძღვანელობდა. მანამდე ის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის IV სამმართველოს უფროსად მუშაობდა. საქართველოს ყოფილი პრემიერ - მინისტრის ნიკა გილაურის ბრძანებით, გიგოლაშვილი ტერორიზმთან, ორგანიზებულ დამნაშავეობასთან, ნარკოტიკების გავრცელებასა და დანაშაულის სხვა საშიშ სახეებთან ბრძოლის სუამის ეროვნული უწყებათაშორისი ჯგუფის წევრიც იყო.

## პაატა ტრაპაიძე - დასაქმების სახელმწიფო მინისტრი

ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა პაატა ტრაპაიძე დასაქმების მინისტრად წარადგინა.

ტრაპაიძე მანამდე კომპანია „კავკასუს როუდ პროჯექტ"-ის დირექტორი გახლდათ.

აღნიშნული კომპანია საქართველოში 2005 წლის 29 მარტს დაარსდა, მისი ძირითადი საქმიანობის სფეროა გზების, ხიდების, გვირაბების, აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ზოლის და საქართველოში პირველი ბეტონსაფარიანი გზის მშენებლობა, აგრეთვე ხის კონსტრუქციებისა და პანელების წარმოება. მერაბიშვილმა ახალი სამინისტროს ხელმძღვანელს დასაქმების ბაზის შექმნა დაავალა.

## სინოდისთვის პოლიტიკურ აქციებში ღვთისმსახურთა მონაწილეობა მიუღებელია

„კატეგორიულად მიუღებელია ღვთისმსახურთა მონაწილეობა რომელიმე პარტიის პოლიტიკურ აქციაში. ეკლესია არის საყოველთაო და მისი წევრია ნებისმიერი პოლიტიკური შეხედულების ადამიანი", - განუცხადა სინოდის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს გორისა და სამთავისის მიტროპოლიტმა ანდრია გვაზავამ.

მიტროპოლიტის თქმით, წმინდა სინოდმა დღეს ბაგრატის ტაძრის საკითხზე და ID ბარათებზეც იმსჯელა.

„ეკლესია მომხრეა, ბაგრატის ტაძრის პირვანდელი სახით აღდგენის, მაგრამ ვინაიდან დასავლეთ მკლავის რესტავრაციასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები შეიქმნა, აუცილებელია აქ სამუშაოები გაგრძელდეს საქართველოს საპატრიარქოს, კულტურის სამინისტროსა და იუნესკოს წარმომადგენლებთან შეთანხმებული პროექტით.

წმინდა სინოდი აცხადებს, რომ სადღეისოდ წარმოდგენილი ID ბარათის ვერსია საღვთისმეტყველო და საეკლესიო სწავლების მიხედვით არ არის ანტიქრისტეს ბეჭედი და აქედან გამომდინარე, ამ ბარათით სარგებლობა შესაძლებელია, მაგრამ რადგანაც ეს საკითხი საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, ეთხოვოს საქართველოს მთავრობას, თუ შესაძლებელია, დაშვებულ იქნას, ალტერნატიული პირადობის დამადასტურებელი საშუალებები", - ნათქვამია სინოდის განჩინებაში.

## დიზელის საწვავი 5 თეთრით გაიაფდა

საქართველოს საცალო ქსელში დიზელის საწვავისს ფასი, ლიტრზე 5 თეთრით შემცირდა.

როგორც ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირში განაცხადეს, საცალო ქსელში საწვავის ფასის შემცირება საერთაშორისო ფასებზე კლების ტენდენციამ გამოიწვია.

კავშირის ინფორმაციით, საწვავის ფასი ბოლო 2 თვის განმავლობაში, ლიტრზე 20 თეთრით შემცირდა და ის გასული წლის დეკემბრის თვეში არსებულ ფასს დაუბრუნდა.

## კომპანია „კრისტალის" ხელმძღვანელი დააკავეს

კომპანია „კრისტალის" ხელმძღვანელი ლევან დაუთაშვილი, რომელიც დილიდან პოლიციაში დაკითხვაზე იმყოფებოდა, დააკავეს. კომპანიის სხვა წარმომადგენლები ამ დრომდე დაკითხვაზე იმყოფებიან.

არსებული ინფორმაციით, საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე და 288-ე მუხლებით, რაც 2-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„კრისტალი" გაერთიანებული წყალმომარაგების კონტრაქტორი ფირმაა, რომელსაც ქლორით სავსე ავზი ეკუთვნოდა.

ლილოს დასახლებაში, ავზიდან ქლორმა გაჟონა. მაშველებმა თავდაპირველად ავზის უსაფრთხო ადგილზე გადატანა სცადეს, თუმცა ავზიდან ქლორმა ხელმეორედ გაჟონა. დაზიანებული ავზიდან გამონაბოლქვი წყლის ჭავლის მეშვეობით გააუვნებელყვეს და ავზს ონკანი შეუცვალეს. ამჟამად ქლორის ავზი საქნავთის ტერიტორიიდან დაუსახლებელ, უსაფრთხო ადგილზეა გადატანილი.

მომხდარის შედეგად 73 ადამიანი მოიწამლა. 18 წლის ახალგაზრდის მდგომარეობა ამ დროისთვის მძიმეა. IPN

## კახეთში ღვინის მუზეუმი გაიხსნება

იუსტიციის სამინისტროში ღვინის მუზეუმის კონცეფცია განიხილეს. სამუშაო შეხვედრა კახეთის სტრატეგიული განვითარების პროექტთან დაკავშირებით მოეწყო.

პრეზენტაციაზე სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს ამერიკული კომპანია "იდეა ეთექის" დამფუძნებელი დინ ტომასი და აღმასრულებელი დირექტორი ნატაშა ვარნიკა შეხვდნენ და ღვინის მუზეუმის კონცეფცია წარუდგინეს.

ღვინის მუზეუმი კახეთში, ერეკლე მეორეს სასახლეში განთავსდება. პრეზენტაციის შემდეგ ამერიკული კომპანიის წარმომადგენლებმა ღონისძიების მონაწილეთა შეკითხვებსაც უპასუხეს.

თელავში ღვინის მუზეუმის მშენებლობა კახეთის რეაბილიტაციის პროექტის ნაწილია.

## რეგიონებში იურიდიული დახმარების ქსელი ყალიბდება

სულ მალე საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში იურიდიული დახმარების ქსელი ყალიბდება. როგორც „შირაქმა" გაარკვია, ამ მიზნით ღონისძიებები რეგიონებში სამოქალაქო განვითარების სააგენტოს (CiDA) ორგანიზებით ტარდება.

ახალციხეში, იურიდიული დახმარების სამსახურის სამცხე-ჯავახეთის ბიუროს ადვოკატებმა და რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა სამუშაო შეხვედრა გამართეს. შეხვედრის მონაწილეებმა იურიდიული დახმარების სფეროში კოორდინაციის გაუმჯობესების შესაძლებლობები განიხილეს. ღონისძიება

იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა ირაკლი კობიძემ მონაწილეებს სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი სამართლებრივი დახმარების სახეები გააცნო.

შეხვედრა იმ მემორანდუმის ფარგლებში ჩატარდა, რომელიც, ცოტა ხნის წინ, თბილისში, იურიდიული დახმარების სამსახურმა და ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა გააფორმეს. ხელმომწერმა მხარეებმა თავიანთ რეგიონულ წარმომადგენლობებს შორის კოორდინაციის ვალდებულება იტვირთეს, რათა მოსახლეობას კვალიფიციური და დროული იურიდიული დახმარებით სარგებლობის საშუალება მიეცეს. შეთანხმების მიხედვით, ურთიერთშემავსებელი სერვისების მქონე ორგანიზაციები ბენეფიციარებს ერთმანეთთან გადაამისამართებენ, თუკი სათანადო დახმარების აღმოჩენის საშუალება თავად არ ექნებათ.

სასჯელაღსრულებისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს ცნობით, საქართველოში უფასო იურიდიული დახმარებაზე მოთხოვნა მაღალია, თუმცა ძნელად მოიძებნება ისეთი ორგანიზაცია, რომელიც უფასო ადვოკატირებას სამართლის ყველა დარგში განახორციელებს.

სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სამსახური სასამართლო წარმომადგენლობას მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებზე უზრუნველყოფს, დანარჩენ შემთხვევებში კი კონსულტირებით შემოიფარგლება. არასამთავრობო ორგანიზაციები კი, თავიანთი მიზნებიდან გამომდინარე, ადვოკატირებას სპეციფიკური მიმართულებით გასწევენ.

## ფრთხილად, მაზვაა!

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში დენის დარტყმის კიდევ ერთი ფაქტი დაფიქსირდა. 27 წლის ნატო ტარიელიძეს დენმა იმ დროს დაარტყა, როცა ელექტრომადუღარას მეშვეობით ყავის მოდუღებას ცდილობდა. თვითმხილველების განმარტებით, გოგონა ყავას ლითონის კოვზით ურევდა, რა დროსაც შემთხვევა მოხდა.

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ორსული გოგონა, რომელიც უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა, დედოფლისწყაროს საავადმყოფოში გადაიყვანა.

„სასწრაფო დახმარების ბრიგადამ სტაციონარში ორსული გოგონა სოფელ სამთაწყაროდან შემოიყვანა. აღმოვუჩინეთ პირველადი დახმარება, ჩაუტარდა ყველა საჭირო პროცედურა და მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. საგანგაშო ვითარება ნამდვილად არ არის. საბედნიეროდ, ბავშვის შენარჩუნებაც მოხერხდა," — განუცხადა „შირაქს" დედოფლისწყაროს საავადმყოფოს დირექტორმა ხათუნა ზურიკაშვილმა.

შეგახსენებთ, ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ეს დედოფლისწყაროში ადამიანზე დენის დარტყმის უკვე მესამე შემთხვევაა. წინა ორივე შემთხვევა სოფლებში გამარჯვებასა და სამთაწყაროში მსხვერპლით დასრულდა. უბედურ შემთხვევებს 23 წლის ილია ხუციშვილი და 13 წლის მანანა ცეცხლაძე ემსხვერპლა.

## ჯონ ბასმა საქართველოში სამწლიანი მოღვაწეობა დაასრულა

აშშ-ს ელჩმა ჯონ ბასმა საქართველოში სამწლიანი მოღვაწეობა დაასრულა. როგორც აშშ-ს დამოუკიდებლობის 236-ე წლისთავთან დაკავშირებულ მიღებაზე ჯონ ბასმა განაცხადა, ის საქართველოში თავის ცოლთან, ჰოლისთან ერთად ჩვეულებრივ ტურისტად დაბრუნდება.

„ჩვენ გვექნება საშუალება, ვიხილოთ კიდევ მეტად განვითარებული დემოკრატიული ინსტიტუტები და ის წინსვლა, რომელიც საქართველოს წინ აქვს", — განაცხადა ჯონ ბასმა.

აშშ-ს ელჩი კიდევ ერთხელ შეეხო არჩევნების საკითხს. მისი თქმით, ზოგმა შეიძლება ჩათვალოს, რომ საქართველოში არჩევნებისთვის სამართლიანი გარემო არ არის შექმნილი და არჩევნები ყალბდება, რასაც ელჩი არ ეთანხმება.

„ამ გამონათქვამს ვერ დავეთანხმები. საქართველოში არსებობს სამართლებრივი ჩარჩო, რომელსაც შეუძლია, ყველაზე კონკურენტული, ყველაზე სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები უზრუნველყოს, რაც საქართველოში ოდესმე ჩატარებულა. ვინც უნდა იყოს გამარჯვებული ამ არჩევნებში, მას დაეკისრება უზარმაზარი პასუხისმგებლობა, რომ დაიკავოს საპარლამენტო ადგილები, მართოს ქვეყანა და შეასრულოს ის როლი, რომელსაც ამომრჩეველი აკისრებს", — განაცხადა ჯონ ბასმა.

მან მოუწოდა არჩევნებში მონაწილეებს, არჩევნების პროცესში გამოიჩინონ მაქსიმალური შემწყნარებლობა და სათანადო დროს კომპრომისზე წასვლის უნარი.

აშშ-ს დამოუკიდებლობის 236-ე წლისთავთან დაკავშირებული მიღება ბოლო ოფიციალური ღონისძიებაა, რომელიც ჯონ ბასმა აშშ-ს ელჩის რანგში გამართა (ინტერპრესნიუსი).

## კიბოს მკურნალობა დიაბეტის წამლებით შეიძლება

პრეპარატს, რომელიც დაბლა სწევს სისხლში გლუკოზის დონეს, ავთვისებიანი სიმსივნის სამკურნალოდ გამოიყენებენ - იტყობინება Medical News Today.

სხვადასხვა სახის კიბოს მიმართ პრეპარატის აქტივობა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აშშ-სა და საფრანგეთის მკვლევართა ორმა ჯგუფმა გამოავლინა.

კვლევებში მონაწილეობისთვის კანადელებმა, ენტონი ჯოშუას ხელმძღვანელობით, ტორონტოს პრინცესა მარგარიტას სავადმყოფოდან 22 მამაკაცი შეარჩიეს, რომლებიც წინამდებარე ჯირკვლის კიბოთი იყვნენ დაავადებულნი. ყველა მონაწილეს ორგანოს მოსაცილებლად საოპერაციოდ ამზადებდნენ. მოსამზადებელ პერიოდში მათ დღეში სამჯერ 500 მილიგრამ მეტფორმინს აძლევდნენ (საშუალოდ ავადმყოფებმა პრეპარატი 41 დღის განმავლობაში უნდა მიიღონ). ჯოშუას ჯგუფმა უკვე შეისწავლა პაციენტებისთვის ამოკვეთილი სიმსივნური ქსოვილი და წინა კვლევებს შეადარა, რომელიც ბიოფსიის დახმარებით ჩაატარეს. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მეტფორმინის დანიშვნის შემდეგ, პროსტატის სიმსივნის ზრდის სიჩქარე შემცირდა.

მერილენდის უნივერსიტეტის (აშშ) მკვლევარებმა, თავის მხრივ, ჩაატარეს ექსპერიმენტი თაგვებზე, რომელთაც მიდრეკილება ჰქონდათ გეპატოცელურიალური კარცინომების განვითარებასთან (ღვიძლის კიბოს ყველაზე გავრცელებული სიმსივნე). კვლევების შედეგებით, იმ მღრნელებში, რომელთა სხეულშიც მეტფორმინი შეყავდათ, სიმსივნის განვითარების რაოდენობა 57%-ით დაბალი იყო, ვიდრე ცხოველებში საკონტროლო ჯგუფიდან. გარდა ამისა, თაგვებში პირველი ჯგუფიდან სიმსივნური ზომები 37%-ით მცირე აღმოჩნდა, ვიდრე მღრნელებში, ვინც პრეპარატს არ ღებულობდა.

# "მეტი სარგებელი ხალხს"



პარლამენტმა მთავრობის შემადგენლობასა და სამთავრობო პროგრამას — „მეტი სარგებელი ხალხს" 102 ხმით 7—ის წინაალმდეგ ნდობა გამოუცხადა.

სამთავრობო ცვლილებების თანახმად, პრემიერ-მინისტრის პოსტი ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ივანე მერაბიშვილმა დაიკავა, რომელიც თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ბაჩანა ახალაიამ შეცვალა. თავდაცვის მინისტრი განათლებისა და მეცნიერების უკვე ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი გახდა, მისი ყოფილი თანამდებობა გამოცდების ეროვნული ცენტრის უფროსმა, ხატია დეკანოიძემ დაიკავა. ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი დალი ხომერიკი გახდა. აგრეთვე შეიქმნება დასაქმების საკითხებში სახელმწიფო სამინისტრო, რომელსაც პაატა ტრაპაიძე უხელმძღვანელებს.

კანონმდებლებს განახლებული მინისტრთა კაბინეტი და სამთავრობო პროგრამა პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა ივანე მერაბიშვილმა წარუდგინა. „ეს არის ჩვენი შემდგომი ოთხწლიანი გეგმა. წლების განმავლობაში მივაღწიეთ ძალიან ბევრ წარმატებას. მიუხედავად ამისა, მაინც ბევრია გაჭირვებაში მყოფი და უმუშევარი ადამიანი. სწორედ ამიტომ, იმ მონაპოვარის, საბიუჯეტო ძვრების, დაგროვილი რესურსების და გამოცდილების ბაზაზე, ჩვენი ამ ეტაპის ამოცანაა ყველა ის სიკეთე, რომელიც შეიქმნა საქართველოში, მივიდეს ხალხთან და ხალხმა მიიღოს მეტი სარგებელი," — განაცხადა ივანე მერაბიშილმა.

მისივე თქმით, მოზიდული იქნება ოთხ მილიარდზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რაც ნიშნავს დამატებით დაახლოებით 80 000 ახალ სამუშაო ადგილს. „წელს ყველა რეკორდი მოიხსნა, ივლისში შარშანდელთან შედარებით 71%—ით გაიზარდა ტურისტების რაოდენობა. თითოეული საქართველოში შემოსული ტურისტი არის, შემოტანილი ფული, დასაქმებული ადამიანი, განვითარებული სოფლის მეურნეობა და ინფრასტრუქტურა და, რაც მთავარია, უფრო მეტი დასაქმებული ადამიანი. " — განაცახადა მერაბიშვილმა.

საქართველოს მთავრობა უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობისთვის გადამწყვეტი დარტყმის მიყენებას და 273 000 სამუშაო ადგილის შექმნას აპირებს.

ტურისტების რაოდენობის გაზრდას მთავრობა 7 მილიონამდე აპირებს, რაც მათივე გათვლით, ტურიზმის სექტორში დაახლოებით 140 000 სამუშაო ადგილს შექმნის.

2012 წლიდან მთავრობა ასევე აპირებს, რომ დაიწყოს დამატებით 12 ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, დაახლოებით ჯამური დადგმული სიმძლავრით 1 677 მეგავატი, ჯამური წლიური გამომუშავებით 5.4 მილიარდ კვტ. საათი. მთავრობის გათვლებით, აღნიშნული პროექტები შექმნის დაახლოებით 13 000 სამუშაო ადგილს.

„აღნიშნული ღონისძიებების საერთო მიზანი იქნება გადამწყვეტი დარტყმა მივაყენოთ უმუშევრობას და თითოეულ ადამიანს მივცეთ შესაძლებლობა ახალი ცოდნით, ახალი კვალიფიკაციით იპოვოს თავისი ადგილი უფრო ძლიერ საქართველოში", - ნათქვამია მთავრობის პროგრამაში.

ასევე, მთავრობა აპირებს დააგოს 5 000 კილომეტრი გზა, რაც ნიშნავს სტაბილურად დასაქმებულ დაახლოებით 40 000 ადამიანს. მთავრობა ასევე აპირებს გააგრძელოს 15 ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რაც ჯამში შეადგენს 414 მეგავატ დადგმულ სიმძლავრეს, ჯამური წლიური გამომუშავებით 2.1 მილიარდი კვტ. საათი.

მერაბიშვილმა მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში სოციალური მიმართულებით საბიუჯეტო თანხების წარმართვის პრიორიტეტებზეც ისაუბრა. მისი თქმით, პენსიების დაფინანსების მიზნით 6 მილიარდი, ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით 3 მილიარდი, სოციალური დახმარებებისთვის 3 მილიარდი, სოფლის მხარდაჭერის მიზნით 4 მილიარდი, ხოლო განათლების დაფინანსების მიზნით - 4 მილიარდი ლარი დაიხარჯება.

„საპენსიო უზრუნველყოფის მიზნით, პრეზიდენტის მიერ 2003 წელს აღებული ვალდებულების თანახმად, 2013 წლიდან საპენსიო პაკეტი 100 დოლარის ექვივალენტი გახდება. რაც მთავარია, ჯანმრთელობის დაზღვევა იქნება საპენსიო პაკეტის განუყოფელი ნაწილი. 1 სექტემბრიდან საქართველოში ყველა პენსიონერი და აგრეთვე სკოლამდელი ასაკის ბავშვი იქნება დაზღვეული. სულ დაზღვეული იქნება 2,4 მილიონი ადამიანი," — განაცხადა ივანე მერაბიშვილმა. მისივე თქმით, ბოლო რვა წლის განმავლობაში დაზღვეულების რაოდენობა საქართველოში 100—ჯერ გაიზარდა. „ჩვენი ამოცანაა ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და დაზღვევა ყველასათვის," — განაცხადა მერაბიშვილმა.

მან დევნილებზეც ისაუბრა და ღნიშნა, რომ ამ სფეროში მთავრობამ გასული წლების განმავლობაში შეძლო შეუძლებლის გაკეთება. რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, ივანე მერაბიშვილის განცხადებით მთავრობა იღებს ვალდებულებას საქართველოში შექმნას 500—ზე მეტი ახალი სოფლის მეურენობის საწარმო. „მე ვიღებ ვალდებულებას, რომ მომდევნო 4 წლის განმავლობაში გაორმაგდეს ქართული სასოფლო—სამეურნეო პროდუქცია," — განაცხადა ივანე მერაბიშვილმა.

მისივე თქმით უმუშევრობის პრობლემის გარდატეხამდე მთავრობა თითოეული ოჯახისთვის 4-წლიანი 1 000-ლარიანი ვაუჩერის გადაცემას აპირებს. ვაუჩერით შესაძლებელი იქნება დენის, გაზის, წყლის ან სხვა კომუნალური ხარჯების დაფარვა, სასკოლო სახელმძღვანელოების და საჭირო მედიკამენტების შეძენა.

## ვანო მერაბიშვილი: ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ბიუჯეტი 3 მილიარდ ლარს გამოყოფს



ვანო მერაბიშვილის მთავრობა ოთხი თვის განმავლობაში ჯანმრთელობის დაცვის მიზნით 3 მილიარდ ლარს გამოყოფს. "ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს, რომ ჯანმრთელობის დაცვის მიზნით საქართველოს ბიუჯეტმა გამოყოს, სამი მილიარდი ლარი ოთხი თვის განმავლობაში.

ეს სამი მილიარდი ლარი მოხმარდება იმას, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე დაზღვეული იყოს. ჩვენ, რა თქმა უნდა, გავაგრძელებთ სოციალურად დაუცველი ადამიანების დაზღვევას. ჩვენ, რა თქმა, უნდა გავაგრძელებთ ყველა ლტოლვილის დაზღვევას. ყველა პენსიონერი პირველი სექტემბრიდან იქნება დაზღვეული, ყველა სკოლამდელი ასაკის ბავშვი იქნება დაზღვეული, ყველა პოლიციელი და ჯარისკაცი იქნება დაზღვეული და ყველას, რა თქმა უნდა, შენარჩუნდება და უფრო გაღრმავდება დაზღვევა. ყველა იმ ადამიანს, რომელიც სოციალურ ჯგუფში ვერ მოექცევა შევიმუშავებთ ერთიან სადაზღვევო პაკეტს და ამ მიზნით, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ვაპირებთ სამი მილიარდი ლარის დახარჯვას", - აღნიშნა პრემიერ მინისტრმა.

## ქართული სოფლის განვითარებისთვის 4 მილიარდი ლარი გამოიყოფა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის განცხადებით, მათი მთავარი პრიორიტეტი სოფლის მხარდაჭერა იქნება და ამ მიზნით საქართველოს სოფლის განვითარებაში 4 მილიარდი ლარის ჩადებას აპირებენ.

ამის შესახებ ვანო მერაბიშვილმა გლდანში, მშენებარე პროფესიულ სასწავლებელთან განაცხადა, სადაც მთავრობის ახალ სამოქმედო გეგმაზე ისაუბრა.

მერაბიშვილმა პირობა დადო, რომ სოფელი საქართველოს გაძლიერების საფუძველი გახდება.

"ვდებ პირობას, რომ ყველა სოფელში იქნება წყალი. ვდებ პირობას, რომ დასრულდება გაზიფიკაციის ყველა პროექტი. ვდებ პირობას, რომ ყველა სოფელში შევა შესაბამისი ხარისხის გზა. ვდებ პირობას, რომ ყველა სოფელში იქნება ინტერნეტი"-აღნიშნა მერაბიშვილმა.




მისი თქმით, მთავრობა აპირებს, დამატებით 2 ათასი ტრაქტორი, კომბაინი და სხვა აგრეგატი შეიძინოს, რათა თითოეულ გლეხს ხელი მიუწვდებოდეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე.

"ჩვენ ვაპირებთ მინიმუმ 500 სასოფლო-სამეურნეო საწარმოს აშენებას ან ხელისშეწყობას მომდევნო 4 წლის განმავლობაში. ჩემი ამოცანაა, რომ საქართველოში მინიმუმ 90 ათასი ჰექტარი მიწა დამატებით იქნას მორწყული და გაფართოვდეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. დასავლეთ საქართველოში ჩვენ ვაპირებთ მინიმუმ 35 ათასი ჰექტარი მიწა გამოვტაცოთ ჭაობს და გავხადოთ ხელსაყრელი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის. ჩემი ამოცანა და მიზანია მომდევნო 4 წლის განმავლობაში გავაორმაგოთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის რაოდენობა. ჩვენ თუ შევძელით ეს, მივიღებთ იმას, რომ ქართველი გლეხი გაძლიერდება, რაც გამოიწვევს ქართული სოფლის გაძლიერებას, ხოლო ქართული სოფლის გაძლიერება ქალაქის და სახელმწიფოს გაძლიერების საფუძველია"-განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

# როცა პორტრეტის დახატვას ვაპირებ, მის ხასიათს და შემოქმედებას ახლოს ვეცნობი

მაგიდასთან 14 წლის ლამაზი გოგონა ზის და თეთრ მოლბერტზე ფანქრით ნაზად ხატავს ჩრდილებს. ნამუშევრის ხილვას გაოცებაში მოვყავარ და სურვილი მიჩნდება, დანარჩენი ნამუშევრებიც ვნახო. კედლიდან მიმზერენ „ჩარჩოებში ჩასმული“ ოდრი ჰერბერნი, ნატალი პორტმანი, ჯარედ დეტო, ტეილორ ნოტნერი და ალენ დელონი. ნამუშევრები გრაფიკულია, რასაც კიდევ უფრო აღფრთოვანებაში მოვყავარ, რადგან ვიცი, გრაფიკა ბევრად უფრო რთული შესასრულებელია, ვიდრე ფერწერა. საოცრად დაჭერილი თვალის სხივი ისედაც ნატიფ და სიზუსტით შესრულებულ ნახატებს ზედმეტ დამაჯერებლობას სძენს და კიდევ უფრო ღრმავდება ეჭვი იმის თაობაზე, რომ ეს ყველაფერი მართლა ამ პატარა გოგონამ შესძლო?! თუმცა, რატომაც არა!– ჩვენ ხომ ფიროსმანის მშობელი კუთხე ვართ, რომელმაც თვითნაბადი ნიჭით აღტაცებაში მოიყვანა მსოფლიო.



მარიამ ნიკვაშვილი მართალია თბილისში დაიბადა და გაიზარდა, მაგრამ მისი ფესვები სათავეს დედოფლისწყაროდან იღებს,იგი აქაური მკვიდრის გოჩა ნიკვაშვილის და მაია კეტეციანის პირველი ქალიშვილი გახლავთ. ამიტომ ზაფხულისა და ზამთრის არდადეგებზე დედოფლისწყაროს ხშირად სტუმრობს. აქაურობა რომ ძალიან უყვარს, ეს მის ნამუშევრებშიც აშკარად შეიმჩნევა. მის ნამუშევრებში სოფლის სახლი ხშირად დომინირებს, რაც უთუოდ ბებიასთან ხშირი სტუმრობის გავლენითაა გამოწვეული. სკოლაში წარმატებული მოსწავლეა, ყველა საგანს ერთნაირად კარგად ეუფლება, მაგრამ უცხო ენები მაინც სხვანაირად იზიდავს. მომავალშიც ამ კუთხით აპირებს სწავლის გაგრძელებას, თუმცა თანდათან ხვდება, რომ მისი მეორე პროფესია მხატვრობა იქნება, ამიტომ სამხატვრო აკადემიის გვერდის ავლით ცხოვრებას არ აპირებს. მარიამ ნიკვაშვილი, მიუხედავად ასაკისა, საკმაოდ სერიოზული, გაწონასწორებული და უსაზღვროდ მშვიდი გოგონაა, აქვს საკუთარი შეხედულებები ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ, რაც გამოარჩევს ყველა მისი თანატოლისგან და, რაც ყველაზე მთავარია ამ ასაკის მოზარდისთვის, ძალიან უყვარს ლიტერატურის კითხვა და უკვე ზედმიწევნით იცნობს როგორც ქართველ, ასევე უცხოელ კლასიკოსთა შემოქმედებას.

**- მარიამ, შენი აზრით რა არის ხელოვნება?**

- ხელოვნებას ბევრი განშტოება აქვს, მაგრამ კონკრეტულად მხატვრობა არის ის, როდესაც ადამიანი თავის გრძნობებს და განცდებს ფურცელზე გადმოსცემს. მიმაჩნია, რომ ამ საქმით მე გადმოვცემ ჩემს შეხედულებებს გარესამყაროს შესახებ.

**- როდის გაგიჩნდა ხატვის სურვილი, ან რამ განაპირობა, რომ მხატვრობის გრაფიკული სტილი აირჩიე?**

-პირველად სამი წლის წინ დავხატე, თავიდან ვთვლიდი, რომ ეს გატაცება იყო, რადგან ისე ვერ ვხატავდი, რომ ის სერიოზულად ჩამეთვალა. შემდეგ თანდათან დავხვეწე ჩემი ნამუშევრები. ამან მეტი სტიმული მომცა. გრაფიკა იმიტომ ავირჩიე, რომ რატომღაც აქ დავინახე ჩემი თავი. ერთხელ ჩემს ხელოვნების პედაგოგსაც ვაჩვენე ნახატები და ისე ძალიან მოეწონა, მაშინვე მისამართი მომცა და უნივერსიტეტში, ერთ-ერთ კათედრაზე სამხატვრო ხელმძღვანელთან გამგზავნა. როცა იმ ადამიანს წარვუდგინე ჩემი ნამუშევრები, აღფრთოვანება ვერ დაფარა. შემდეგ დამაკვალიანა და რჩევებიც მომცა, რასაც ახლა უკვე ვითვალისწინებ და უკეთესადაც გამომდის, რაც ძალიან მახარებს. ჯერჯერობით მუდმივ ძიებაში ვარ, რა გამომდის უფრო უკეთ, ეს ჯერ კიდევ გასარკვევია, ეს ჩემს თავთან მუდმივ მუშაობაში გამოვლინდება. შესაძლოა მომავალში ფერწერა გამომივიდეს უკეთ და მას გავყვე, ვნახოთ. ყოველ შემთხვევაში, ამ პიროვნებამ გამოთქვა სურვილი, რომ, თუკი როდისმე სურვილი გამიჩნდება სამხატვროზე ჩავაბარო, სიამოვნებით მიმიღებდა სასწავლებელში. როდესაც რუსთაველზე დედამ სურათების ჩარჩოებში ჩასასმელად წამიყვანა, იქ ერთ-ერთმა მხატვარმა ქალმა, რომელიც მეორე დღეს თავისი ნახატების გამოფენას გეგმავდა და შემთხვევით გაეცნო ჩემს ნამუშევრებს, გაოცება ვერ დაფარა, რამდენიმე მხატვარს აჩვენა და საკმაოდ დადებითი შეფასება მომცეს. თავიდან ეგონათ, ეს დედას ნახატები იყო, მაგრამ ჩემს ოჯახში ნამდვილად არავინ ხატავს, ეს ნამდვილად ჩემი შემოქმედებაა.სიმართლე გითხრათ, აქამდე არც მიფიქრია, მაგრამ ახლა ნამდვილად ვიცი, რომ მეორე პროფესიად მხატვრობას ავირჩევ, რადგან ეს საქმე ძალიან მიყვარს და მსიამოვნებს.



**- შემოქმედ ადამიანებს ხშირად ეკითხებიან, თუ როგორი გრძნობა ეუფლებათ მუშაობის პროცესში?! შენ ეს გატაცება გამშვიდებს, გახალისებს, თუ სიამაყეს გძენს?!**

- მუშაობის პროცესის დაწყებისთვის აუცილებელი და მთავარი განწყობაა.თუ განწყობა არა მაქვს, არაფერი არ გამომივა. არ უნდა ვიყო აფორიაქებული, რადგან, როცა აფორიაქებული ვარ, შექმნილი ნიმუში ჩემს მოწონებას არ იმსახურებს. არც ხალხმრავლობაში მუშაობა გამომდის. ძალიან მიყვარს მუსიკა და სიწყნარე. რა თქმა უნდა, შექმნილი ნამუშევრის ყურება მამშვიდებს და სიამაყეს მძენს.

**- დეკორატიულ ნიმუშებზე ვისაუბროთ, ძალიან ლამაზია და საინტერესოდ გამოიყურება, რისგან ქმნი მათ?!**

- როცა პატარა ვიყავი, მძივებით ვაკეთებდი კომპოზიციებს, ამჯერად წელიწადის ყველა დრო მინდა შევასრულო. გასულ ზამთარს, როცა დიდი თოვლები იყო და ქალაქში ვიყავი, რატომღაც სოფლის მიტოვებული სახლი წარმომიდგა თვალწინ და გამიჩნდა სურვილი, რომ ბებიის სახლი დეკორაციაში გამეკეთებინა. თოვლის ეფექტი მუყაოზე ბამბით ავსახე, შემდეგ თეთრი ემულსიით გადავლებე და ზედ დაფხვნილი მძივები გადავაყარე, რადგან მიყვარს, როცა ზამთარში თოვლი მზის სხივების ანარეკლზე ბზინავს, მძივებმა კი ჩემს ზამთრის პეიზაჟს ბზინვის ეფექტი მისცა. ასე გაჩნდა ჩემს კოლექციაში ბებიის სახლი, ისეთი, როგორიც მე ის მიყვარს,- ღამე, ზამთარი, სითეთრე, სიმყუდროვე, ბუხარი და ბუხრიდან ამოსული ბოლი.

**- საინტერესოა შენი ფერთა შეხამება კომბინირებულ ნამუშევრებში, —სოცრად ნატიფი გემოვნებით გაქვს შერჩეული ფერები. ალბათ, სისადავისადმი სიყვარულმა განაპირობა შენი გრაფიკაში მუშაობაც,სადაც მხოლოდ თეთრი და ღია ნაცრისფერი ჩრდილებია.**

- გააჩნია, როგორ განწყობას ვქმნი. საერთოდ არ მიყვარს კონტექსტიდან ამოვარდნილი ფერთა შეხამება. არ ვიცი, ალბათ ეს ჩემი შინაგანი ბუნებიდან მოდის. მხოლოდ ერთგან მაქვს მუქი ლურჯი ზეცა, ისიც იმიტომ, რომ ცაზე ღამე, თანაც ნაღვლიანი ღამე უნდა გამომეხატა. საერთოდ არ მიყვარს მუქი ფერები, მით უმეტეს, თუ ის ნახატს აუშნოებს.

**- გამიგია, რომ გამოცდილი მხატვრისთვისაც კი საკმაოდ რთულია თვალის სხივის ზუსტი დაჭერა, შენს ნამუშევრებში კი ის საოცარი სიზუსტითაა დაჭერილი. ასეთი პატარა და გამოუცდელი გოგო, თვითნასწავლი, როგორ ახერხებ ამ სიზუსტის დაცვას? ან როგორ არჩევ დასახატ ობიექტს? მაგალითად, რის მიხედვით გამოარჩევ იმ მსახიობებს, რომლებსაც ხატავ?!**

- ამბობთ, რომ თვალის დახატვა რთულიო, მე კი სწორედ ძალიან მიყვარს და მსიამოვნებს თვალების ხატვა. პირველ რიგში ცნობილ მსახიობებს იმიტომ ვხატავ, რომ ჯერ სწავლის პროცესში ვარ და გადახატვას უფრო ვცდილობ, რომ ხელი გავიწაფო, თანაც მინდა ჩემს შესაძლებლობებში დავრწმუნდე, მაინტერესებს, რამდენად ზუსტად დავხატავ ამა თუ იმ მსახიობს, რომ რეალურად ზუსტად ავსახო მისი შინაგანი მე. ვხატავ მათ, ვისი პიროვნებაც მიზიდავს და საინტერესოდ მეჩვენება. საერთოდ კი, როდესაც რომელიმე მსახიობის დახატვას ვაპირებ, აუცილებლად უნდა გავეცნო მის შემოქმედებას–ვეცნობი მის ცხოვრებას, ვაკვირდები მანერებს, ვსწავლობ მათ ხასიათს, ამის შემდეგ მიჩნდება სურვილი, რომ ეს ადამიანი დავხატო.

მარიამს ჩარჩოში ჩასმული ნამუშევრების გარდა, კიდევ უამრავი ნახატი აქვს – ზოგი აკვარელშია შესრულებული, ზოგიც ფანქარში. თითოეული მათგანი დიდი სისათუთით ფაილებში აქვს ჩასმული და ერთ დიდ წიგნში აქვს თავმოყრილი, რაც მთლიანობაში ძალიან სასიამოვნო დასათვალიერებელია. ამ ეტაპზე მარიამი ალენ დელონის პორტრეტის (გრაფიკა) ხატვის პროცესშია, თითქმის დამთავრებული და ახლადდაბადებული მისი შემოქმედების ნაყოფიც იმდენად საინტერესო და მრავლისმთქმელია, როგორც დანარჩენები. შვილების მიმართ ძალიან ყურადღებიან მის დედას, ალბათ არც ეს ნამუშევარი გამორჩება იმისთვის, რომ ნახატი ხელოსანთან წაიღოს და ჩარჩოში ჩაასმევინოს, რათა მარიამის ნამუშევრებს კიდევ ერთი ლამაზი სურათი შეემატოს. მიუხედავად საამაყო საქმის კეთებისა, ჩვენი რესპოდენტი, რომელიც სულიერ და შემოქმედებით სილამაზესთან ერთად, ფიზიკურადაც მომხიბვლელი გოგონაა, იმდენად თავმდაბალი აღმოჩნდა,რომ საგაზეთო მასალისთვის ფოტო არაფრით გადაიღო. ისღა დაგვრჩენია, გზა დავულოცოთ და წარმატებები ვუსურვოთ ჯერ მხოლოდ 14 წლის, მაგრამ სერიოზულ შემოქმედს, რომლის ნამუშევრებით თუ ვიმსჯელებთ, მის ნიჭსა და გემოვნებიან ფუნჯს, წინსვლა და ღმერთის წყალობა არ მოაკლდება!



ლალი მეხრიშვილი

# კახეთში ცხვარი იხოცება - მეცხვარეთა ასოციაცია ვაქცინების უკმარისობაზე საუბრობს

კახეთში ცხვარი ჯილეხით იხოცება — ამის შესახებ ინფორმაციას მეცხვარეთა ასოციაციის ხელმძღვანელი ბექა გონაშვილი ავრცელებს. მისი თქმით, რეგიონში დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინის არქონისა და პრევენციული ღონისძიების დაგვიანების შემთხვევაში კახეთში ცხვრის დიდი რაოდენობა გაწყდება.

ასოციაციის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ ცხვრის საერთო სულადობა 15—20 პროცენტით უკვე შემცირდა, რადგან მკაცრი ზამთრის გამო ცხვრის დიდი რაოდენობა დაიხოცა შირაქში, ელდარსა და სამუხის ზამთრის საძოვრებზე. ცხვარი ზაფხულშიც განაგრძობს კლებას და ამ მხრივ მდგომარეობა უარესად დამძიმდება.

„უკვე 10 დღეზე მეტია, ჯილეხს ვებრძვით კახეთში და ვაქცინას ვერ ვშოულობთ. მობილიზება არ მომხდარა და ყოველი დაგვიანებული წუთი სულადობაზე ცუდად მოქმედებს. სურსათის უვნებლობის სამსახურმა მხარდამჭერი ღონისძიების სახით, გარკვეული დახმარება გაგვიწია, მაგრამ ეფექტი მაინც ვერ მივიღეთ, ვაქცინა არასაკმარისი აღმოჩნდა. ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვართ“, — აღნიშნავს ბექა გონაშვილი.

ამ საკითხის ირგვლივ გაზეთი „შირაქი“ **ბექა გონაშვილს** ვრცლად ესაუბრა. ასოციაციის თავმჯდომარე პრობლემის შესახებ ამომწურავ კომენტარს აკეთებს. მისი განმარტებით, ამ საკითხის ირგვლივ თბილისში გამომავალ სხვადასხვა ბეჭდვურ გაზეთში არასწორი ინფორმაციები გავრცელდა, რამაც მეცხვარეთა ასოციაციის პოზიცია დაამახინჯა.

კახეთში ივნისის თვეში დაფიქსირებული ჯილეხის შემთხვევა მოხდა არა ცხვრის ფარებში, არამედ მეძროხეობის ფერმაში. როგორც მეცხვარეთა ასოციაციაში ირწმუნებიან, ასოციაციისთვის ცხვარში ჯილეხის არცერთი შემთხვევა არ ყოფილა ცნობილი.

„სურსათის სააგენტოს ადგილობრივი სამსახურების მხრიდან გატარდა შესაბამისი ღონისძიებები რათა დამუშავებულიყო კერის მიმდებარედ 2-3 კილომეტრის რადიუსში არსებული პირუტყვის ფერმები. ამასთან, ეს შემთხვევები დაფიქსირდა ივნისის თვეში, როცა კახეთი პრაქტიკულად დაცლილია ცხვრის ფარებისგან და საქონელი უკვე გადარეკილია ზაფხულის საძოვრებზე. სამწუხაროდ დამკვიდრებული პრაქტიკით, საქონლის გეგმიური აცრები ყოველთვის იგვიანებს მეპატრონეების მხრიდან და ფერმერებს ის ახსენდებათ მხოლოდ მაშინ, როცა შემთხვევა სადმე დაფიქსირდება. ამან გამოიწვია ის,



რომ ჯილეხის ვაქცინის რაოდენობა ვეტერინარულ აფთიაქებში პრაქტიკულად გაიყიდა, ხოლო ახალი პარტიით შევსება დაგვიანდა. ამ დაგვიანებასაც აქვს თავისი მიზეზი, იყო წლები, როდესაც ჯილეხი არ დაფიქსირებულა, შესაბამისად არც არავის უყიდია ვაქცინა რომ საქონელი აეცრა, შესაბამისად ვაქცინის დამამზადებლებმა მიიღეს ეკონომიკური ზარალი, რადგან ვაქცინას მაქსიმუმ 1 წლის ვადა აქვს.

***- ვაქცინის უკმარისობასთან დაკავშირებით ასოციაცია რა გამოსავალს ხედავს?***

- შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნულ და სხვა დაავადებებზე გეგმიური ვაქცინაცია ქვეყანაში აუცილებლად უნდა იყოს სავალდებულო, რომელსაც ყველა ფერმერი განახორციელებს და ვაქცინის დამამზადებელს, მათ შორის იმპორტიორსაც, ეცოდინება ყოველწლიურად დაახლოებით რა რაოდენობის ვაქცინა უნდა ჰქონდეს მობილიზებული. ამით გავაუმჯობესებთ ქვეყანაში არსებულ ვეტერინარულ გარემოს, ჩვენი პროდუქცია იქნება მომხმარებლისთვის უსაფრთხო და თავიდან ავირიდებთ იმ ეკონომიკურ ზარალს, რაც თან ახლავს საქონლის დაცემას. ამასთან, მინდა აღვნიშნო, რომ სურსათის ეროვნული სააგენტო და მეცხვარეთა ასოციაცია რამდენიმე წელია ნაყოფიერად თანამშრომლობს.

ჩვენ გასულ 2011 წელს ერთობლივი ორგანიზებით მოვახდინეთ 10 000-ზე მეტი ცხვრის უფასო ვაქცინაცია დაავადება თურქულზე, სწორედ ამ ღონისძიების გატარებით მოხერხდა ქართული ცხვრისთვის ახალი და მეტად მნიშვნელოვანი ისრაელის ბაზრის ათვისება. დაგეგმილია ამ პროგრამის გაგრძელება წელსაც, ყველა მეცხვარეს მოვუწოდებთ მოგვმართოს პროგრამაში მონაწილეობის მიღების მიზნით.

***- ცნობილია, რომ გადასარეკი ტრასების და სხვა ინფრასტრუქტურის მოწყობაც უკვე დაწყებულია...***

- სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად ჩვენ ჩართულები ვართ ცხვრის გადასარეკი ტრასების რეაბილიტაციის პროექტში, მოხდა ძველი, მივიწყებული ტრასების აღდგენა, სადაც მეცხვარეებს შეუძლიათ გადაადგილება გადარეკვისას, აღდგა დასასვენებელი მოედნები, იგეგმება გასაბანებლების, დეზობარიერების და ვეტ-პუნქტების ორგანიზება, უკვე დაწყებულია სიღნაღის რაიონში, მდინარე იორზე არსებული ე.წ. „მჟავანაძის ხიდის“ და მარნეულის რაიონში, მდ. ალგეთზე ხიდების რეაბილიტაცია. ასოციაციის სახელით მინდა მივამართო ფერმერებს, იაქტიურონ, დაგვიკავშირდენ, ჩაერთონ ჩვენს პროექტებში და იზრუნონ საკუთარი ბიზნესის, შემოსავლის წყაროს გამართულ ფუნქციონირებაზე და თავიდან აიცილონ ლეტალური შედეგები გეგმიური ვაქცინაციის ჩატარებით,” — აღნიშნავს ბექა გონაშვილი.

გაზეთი „შირაქი“ ვაქცინების უკმარისობასთან დაკავშირებით სურსათის უვნებლობის—ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ადგილობრივი სამსახურის პოზიციითაც დაინტერესდა და მიხეილ ქევხიშვილს დაუკავშირდა. ქევხიშვილმა წყენა გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ სხვა მედიასაშუალებებში ამ საკითხის შესახებ არასწორი ინფორმაცია გავრცელდა.

ვაქცინების უკმარისობასთან დაკავშირებით დედოფლისწყაროს მთავარი ვეტერინარი მიხეილ ქევხიშვილი ამბობს, რომ „არაფერი იცის“. მისი პოზიციით „შირაქი“ მას შემდეგ დაინტერესდა, რაც მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარე ბექა გონაშვილმა განცხადება გაავრცელა იმასთან დაკავშირებით, რომ ვაქცინების უკმარისობის პრობლემა რეალურად დგას და ეს ხშირად ქმნის პირუტყვის დახოცვის საფრთხეს.

იმ ფონზე, რომ ჯილეხისა და ცოფის ეპიდემიების გამო კარანტინი დედოფლისწყაროს სოფლების უმრავლესობაში მოქმედებს, ქევხიშვილი მოსახლეობისთვის რჩევა-დარიგებების მიცემის ნაცვლად ჟურნალისტებს გაურბის და პრობლემებზე ღიად საუბარი არ სურს. **მიხეილ ქევხიშვილი** გაექცა როგორც ტელეჟურნალისტებს, ისე დედოფლისწყაროში მომუშავე მედიასაშუალებების წარმომადგენლებს. მან კომენტარი არც ადგილობრივ გაზეთ „შირაქს“ მისცა.

„რა უნდა გითხრათ, ამ თემაზე თქვენმა კოლეგებმა არასწორად დაწერეს და საკამათო გახდა... მე უკვე ვესაუბრე ბექა გონაშვილს. ასე, რომ იმათ დაურეკეთ, ვინც ტყუილები დაწერა. თქვენს კოლეგებს ჰკითხეთ, მე რატომ მირეკავთ (ყვირის და ტელეფონს თიშავს)... რა გიპასუხო? ჩემი უფროსი ხართ, თუ თქვენ რატომ უნდა გიპასუხოთ, ვერ გავიგე... (მაღალი ხმით) ამაზე თუ კიდევ რამე გაინტერესებთ, ჰოდა ჩემს ზემდგომს, პრესსამსახურს დაუკავშირდით... ყველა კითხვაზე ისინი გიპასუხებენ...... (ისევ გათიშა). ქევხიშვილთან დაკავშირებას კიდევ შევეცადეთ, თუმცა ის ჩვენს სატელეფონო ზარებს აღარ პასუხობდა.

მიხეილ ქევხიშვილი სურსათის უვნებლობის—ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის დედოფლისწყაროს სამსახურის მენეჯერად მიმდინარე წლის 1 თებერვლიდან დაინიშნა. მისი წინამორბედის დავით ვეშაგურიძის სამსახურიდან გაშვების მიზეზი დედოფლისწყაროში სხვადასხვა დაავადების მასობრივად გავრცელება და ჟურნალისტებთან ცუდი დამოკიდებულება გახდა. ის ხშირად უარყოფდა იმავე საჯარო განცხადებებს, რომლებსაც პრესაში მანამდე ოფიციალურად თავად ავრცელებდა. სხვადასხვა გაუგებრობების გარკვევა კი სააგენტოს პრესცენტრს უწევდა. სწორედ ამიტომ, როგორც რეგიონულ, ისე რესპუბლიკურ პრესაში მისი მისამართით ხშირად იწერებოდა კრიტიკული სტატიები.

1972 წელს დაბადებული მიხეილ ქევხიშვილი ამ სამსახურში გადაყვანამდე 3 წლის მანძილზე სოფელ ზემო მაჩხაანის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტად, უფრო ადრე კი სოფლის ვეტპუნქტში მუშაობდა. 1994 წელს მან თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტი დაამთავრა.

ილია მარტყოფლიშვილი

## სარედაქციო ფოსტა

# წყალს ითხოვენ მეგობრობის ქუჩაზე

სოფელ ხორნაბუჯის (ყოფილი წითელწყაროს) მეგობრობის ქუჩის მცხოვრებლებმა თავისი გულისტკივილი მოგვწერეს: „წყალი ყოველთვის საჭირო და აუცილებელია, მაგრამ ზაფხულში უფრო მეტად. ჩვენ კი უწყლოდ ვართ დარჩენილები. იმ მიზეზით, ჭები გაქვთო, წყალი ჩვენს ქუჩაზე არ გაიყვანეს, მაშინ, როცა ჩვენს პარალელურ ქუჩებზეც აქვთ ჭები, მაგრამ წყალგაყვანილობა იქ რა ხანია გაკეთებულია. ჩვენ რა დავაშავეთ, არჩევნები რომ მოვა, ათას რამეს დაგვპირდებიან ხოლმე, შესრულება კი ღმერთმა იცის. ჩვენი გასაჭირი ის არის,



რომ ზაფხულში ჭებში წყალი იკლებს, ან სულაც შრება, მერე ვეძებთ ჭების ჩამღრმავებლებს, 1 მეტრის ამოთხრა 80-100 ლარი ღირს. ეს ჩვენთვის მძიმე ეკონომიკური ტვირთია და ყველას არ შეუძლია, გადაიხადოს. დავრბივართ ერთმანეთის ეზოებში თითო-ოროლა ვედრო წყლისათვის. ორიოდე ძირი პამიდორი და მწვანილი ვერ მოგვიყვანია, სოფელში მაცხოვრებლები კი გვქვია! ძვირფასო რედაქცია, იქნებ დაგვეხმაროთ, გაგვაგებინოთ, რატომ არ გაიყვანეს ჩვენს ქუჩაზე წყალი, ან როდისთვის იგეგმება ჩვენთან ეს სამუშაოები? განა შეიძლება, ცენტრალურ ქუჩაზე წყალი არ იყოს?!“

მდგომარეობაში გასარკვევად ჩვენ მეგობრობის ქუჩას ვესტუმრეთ და ვნახეთ, რომ წყალგაყვანილობა აქ, მართლაც, არ აქვთ და ძირითადად ჭების ანაბარა არიან. წყალი მხოლოდ ქუჩის დასაწყისში მდებარე ორ კორპუსს მიეწოდება, დანარჩენი მაცხოვრებლები ქუჩის ბოლომდე უწყლოდ არიან. ჭებზე არიან დამონტაჟებულები ამ ქუჩაზე მდებარე ავტოსამრეცხაოებიც, სადაც აცხადებენ, რომ მათთვის უფრო მოხერხებული იქნებდა, მათ ქუჩაზე ცენტრალური წყალგაყვანილობა რომ არსებობდეს, რადგან ჭის მოხმარებაზე აღებული ლიცენზიის მიხედვით მათ დღიური ნორმა აქვთ განსაზღვრული, რაც საკმარისი არ არის. ამასთან, ჭის სამუშავებლად უფრო მეტი თანხა ეხარჯებათ, ვიდრე ეს წყალგაყვანილობის



დროს იქნებოდა. ასე რომ, რაც მალე გაიყვანენ ამ ქუჩაზე წყალს, მით უკეთესიო - აცხადებენ ისინი.

ჩვენ დავუკავშირდით მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურს და სოფლის რწმუნებულს ზაქრო ბატიაშვილს, რომლებმაც ერთნაირად აგვიხსნეს ეს მდგომარეობა: სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში ხორნაბუჯში წყლის გაყვანა მეორე წელია, მიმდინარეობს. პირველად ის უბნები დავაკმაყოფილეთ , სადაც ჭები ნაკლებად იყო. ამ ქუჩაზე წყლის გაყვანის სამუშაოებისაგან თავის შეკავების უპირველესი მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ქუჩა რაიონში ცენტრალური შემოსასვლელია და მის გათხრას და წყლის სამუშაოებს თან პარალელურად უნდა მოჰყოლოდა გზის მოპირკეთების სამუშაოებიც. რადგან ქალაქის შემოსასვლელს დიდხანს ვერ ჩავკეტავთ, ასე ერთბაშად ორი სერიოზული სამუშაოს შესასრულებლად კი საკმარისი თანხები არ გვაქვს, ამიტომ ჯერ იმ ქუჩების გაწყლოვანება მოვახდინეთ, სადაც მოხრეშილი გზები გვაქვს და ჭებიც ნაკლებად მუშაობს. წელს დაგეგმილია თავისუფლების, დუმბაძის, ლერმონტოვის და ჭავჭავაძის ქუჩებზე წყლის გაყვანა. მეგობრობის ქუჩაზე სამუშაოები, სამწუხაროდ, წელს არ იგეგმება, - გვითხრა ზაქრო ბატიაშვილმა.

ისღა დაგვრჩენია, მეგობრობის ქუჩელები გავამხნევოთ, მოთმინება ვუსურვოთ და ვუთხრათ, რომ ქალაქ დედოფლისწყაროში წყლით მომარაგების სამუშაოები ეტაპობრივად ოთხი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და რომ ყველას ყველაფერი ერთბაშად არ ექნება, რადგან ჯერ კიდევ განვითარებად ეკონომიკურად გაჭირვებულ ქვეყანაში ვცხოვრობთ.

ნაირა გორაშვილი

# აზარტული თამაშები და სამორინე-ფსიქოლოგიური მაგნიტი?!



ჩვენი დოსიე: ტაროტი - ესე ჰქვია თანამედროვე სათამაშო ქაღალდის "კარტის" წინაპარს.

საიდუმლოებით არის მოცული მისი წარმოშობის და განვითარების ისტორია და ბუნებრივიცაა, რადგან იგი მაგიურ საწყისებზეა აღმოცენებული.

ტაროტის უძველესი ნიმუში მხოლოდ მე-14 საუკუნით თარიღდება, მაგრამ მკვლევარები ძველ ეგვიპტეს ასახელებენ სათამაშო ქაღალდის სამშობლოდ, სადაც მას რიტუალური დატვირთვა ჰქონდა.

შუა საუკუნეების ევროპაში იგი მომთაბარე ბოშების საშუალებით მოხვდა და მაშინვე მიიპყრო სიახლის მოყვარული მაღალი საზოგადოების ყურადღება. უკვე მე-15 საუკუნეში ქალაქ პიზაში ძლიერ პოპულარული იყო თამაში "ტაროჩინო". ტაროტმა სწორედ ამ პერიოდში შეიძინა გასართობი ფუნქცია, მაგრამ პირველადი დანიშნულებაც დაუკარგავს. იმდროინდელ ევროპაში ტაროტის საშუალებით ფართოდ გავრცელდნენ მომავლის წინასწარმეტყველები, მკურნალები, შემლოცველები. პაპის ეკლესიის არა ერთმა მკაცრმა მცდელობამ აღმოეფხვრა იგი, - ვერ გამოიღო ნაყოფი, უფრო მეტიც რამოდენიმე ხანში ოდნავ ტრანსფორმირებული ტაროტი სამეფო კარზეც და მოგვიანებით თვით კათოლიკურ სამღვდელოებაშიც უსაყვარლესი გასართობი საშუალება გახდა.

მაშინდელი ტაროტი თანამედროვე კარტისაგან განსხვავდებოდა არა მარტო მეფეების, დედოფლების, რაინდებისა და რიცხვების გამოსახულებით, არამედ მას გააჩნდა შუა საუკუნეების საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ელემენტებიც - დიდგვაროვნების, მსახურების, მხედრების, გლეხების, ვაჭრების, მონეტების, ხმლების, თასების და სხვათა გამოსახულებები. მოგვიანებით, მე-17, მე-18 საუკუნეებში იყო მცდელობა მასში შეეტანათ ზოდიაქოს ნიშნები და რელიგიური სიმბოლოები. მაგ: ანგელოზი, დემონი, სიკვდილი, კრავი.

ამ იდეამ საბოლოოდ სრული განხორციელება მე-19 საუკუნის I ნახევარში ჰპოვა. სწორედ მაშინ მიიღო ტაროტმა თანამედროვე სათამაშო ქაღალდის სახე. მასში რელიგიური სიმბოლოები იმდენად მზაკვრულად და დაფარულად შენიღბეს, რომ ქრისტიანობაში გაუცნობიერებელი საზოგადოებისთვის შეუძლებელი შეიქმნა კარტში რაიმე საგანგაშოს შემჩნევა, არადა საქმე სწორედ რომ საგანგაშოა. არასოდეს ყოფილა ტაროტი ამდენად მკრეხელური, როგორიც დღეს კარტის სახით გვევლინება. ქრისტიანული სიმბოლოები - გოლგოთა, ჯვარი, ლახვარი, ღრუბელი არასოდეს ყოფილა აგრერიგად დამცირებული და შეურაცხყოფილი.

მე-19 და, განსაკუთრებით, მე-20 საუკუნეში მთელს მსოფლიოში არნახული პოპულარობა მოიპოვა კარტმა. ბოლო ათწლეულებში შეიქმნა სპეციალური დაწესებულებები ე.წ კაზინოები და ქალაქებიც კი, რომელთა საქმიანობა და შემოსავალი კარტზე არის დამოკიდებული.

დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს, რომ სათამაშო კარტს თავის მაგიური თვისებები არ დაუკარგავს. თამაშის დროს აზარტს დამონებული საღი აზრი სრულიად დაბნელებულია. მაშ, რით აიხსნება მოაზროვნე ადამიანების ესოდენი ხალხმრავლობა კაზინოებში. იქ მისვლამდე უწყის ყველამ, რომ დამარცხებისთვისაა განწირული, მაგრამ მაინც რაღაც იზიდავთ ისე ძლიერ, თითქოს ყელში თოკი წაუჭერიათო.

ის უცნაური საშიში სიტკბოება, რაც საზოგადოდ ცოდვას ახასიათებს, აქ განსაკუთრებულად მსუყედ იგრძნობა. უგუნური ადამიანი ილუზორულად ბედნიერი და ამავე დროს მწარედ მოტყუებულია.

მე-19 საუკუნეში კარტმა რუსეთის გამოვლით საქართველოშიც შემოაღწია. დღეს კი მთელი საქართველო დასერილია ამ შხამიანი ობობა-სამორინეს ქსელებით, სადაც მოქცეულ მსხვერპლს არავინ ინდობს. არის უამრავი დაღუპული სული, დანგრეული და გაუბედურებული ოჯახი.



ადგილი, სადაც ადამიანები ფულს აგებენ ან იგებენ, სადაც ფორტუნას ცდიან, სადაც საათი არ არის. ეს ადგილი კაზინოა. დღეს საქართველოში ბევრი ადამიანია, რომლისთვისაც აზარტული თამაშები არა გართობის, არამედ გამდიდრების გზაა. დროთა განმავლობაში ისინი აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულები ხდებიან და სწორედ აქ იწყება მათი ფსიქოლოგიური და სოციალური პრობლემები.

ალბათ ყველას კარგად ახსოვს შტეფან ცვაიგის "24 საათი ქალის ცხოვრებიდან", სადაც დეტალურადაა აღწერილი აზარტული თამაშებით შეპყრობილი ახალგაზრდის ფსიქოლოგიური პორტრეტი. ამ წიგნში მოთხრობილი ამბავი დღეს საქართველოშიც რეალობად იქცა.

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას ლუდომანია იგივე გემბლინგი ეწოდება. გემბლინგს ნარკომანიის კლასიკური გამოვლინებები ახასიათებს - კერძოდ ფიზიკური და ფსიქოლოგიური დამოკიდებულება, რაც აზარტული თამაშების მიმართ ავადმყოფურ ლტოლვას იწვევს.

ლუდომანი, იგივე აზარტული თამაშების მოყვარული ადამიანი ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ მრავლადაა. იშვიათად მოიძებნება ადამიანი, რომლის გარემოცვაში აზარტული თამაშების მანიით შეპყრობილი ერთი ადამიანი მაინც არ იყოს. სამწუხარო ის არის, რომ ლუდომანიით დაავადებული ადამიანი ხშირად მთელი ფინანსური რესურსის დაკარგვის სანაცვლოდ იღებს აზარტით მინიჭებულ სიამოვნებას. ხშირია ფაქტები, როდესაც მოთამაშეს უძრავი თუ მოძრავი ქონების გაყიდვით აღებული ფული წაუგია კაზინოში და თვითმკვლელობით დაუსრულებია სიცოცხლე....

ის ძალიან კარგი ბიჭი იყო. უაღრესად განათლებული და წესიერი ადამიანი. დაქორწინდა კიდეც და მშვენიერი ოჯახი შექმნა. მუშაობდა და ახლადშექმნილ ოჯახს დამოუკიდებლად უზრუნველყოფდა. ბოლო დროს ხასიათი შეეცვალა. სამსახურიდან ხშირად იგვიანებდა და ამას ყოველთვის გაურკვეველი მიზეზით ხსნიდა. ცოლმა გაიგო,რომ მისი მეუღლე კაზინოში დადიოდა და მისი ძვირფასეულობა თითქმის უკვე გაყიდული ჰქონდა.ამასთან ერთად, მან ვალების გადასახდელად საკუთარი მანქანაც გაყიდა. ამის შესახებ ოჯახის სხვა წევრებმაც გაიგეს.დალაპარაკებაც სცადეს, მაგრამ ბიჭი საუბარს თავს არიდებდა და თავის დაძრომას ცდილობდა. მალე ოჯახში ტრაგედიაც დატრიალდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, თვითმკვლელობაზე ცოლთან ბოლოს რამდენჯერმე უთქვამს. ამბობდა თურმე, სიცოცხლის ღირსი არ ვარ, ამ ჯოჯოხეთისგან თავის დახსნას ველარ ვახერხებ, თავი უნდა მოვიკლაო - მოიკლა კიდეც. ასეთი ისტორია არცთუ ისე იშვიათია საქართველოში. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქვეყანაში კაზინოების ბუმი შეიქმნა.

რატომ ხდება ადამიანი აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული და რამდენად შესაძლებელია ამ დამოკიდებულების მოხსნა? — ეს არის ის კითხვა, რომელიც საზოგადოების დიდ ნაწილს აინტერესებს. ფსიქოლოგების აზრით, ლუდომანია სერიოზული დაავადებაა, რომელიც ადამიანის ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას იწვევს აზარტული თამაშებისადმი:

- აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება არის ქრონიკული დაავადება. როგორც ნარკოტიკული საშუალებების რამდენჯერმე გასინჯვის შემდეგ ადამიანი ხდება მასზე დამოკიდებული, ასევეა აზარტული თამაშების შემთხვევაშიც. აზარტული თამაშების დროს, ადგილი აქვს არაქიმიური დამოკიდებულების ფორმას, ანუ ფსიქიკურ მიჯაჭვულობას, როცა ადამიანი თავის ქცევას ველარ აკონტროლებს. ფიზიკური დამოკიდებულების დროს ადამიანის ორგანიზმი ეჩვევა ამა თუ იმ პრეპარატს, ქიმიურ ნივთიერებას და ხდება მასზე დამოკიდებული. უკონტროლო ქცევას ეწირება ადამიანის ცხოვრების სხვა ღირებულებები. აზარტული თამაშები დაკავშირებულია ფინანსურ დანახარჯებთან და ამის შედეგად ადამიანი მიდის ფიზიკურ ბანკროტამდე. თამაშებში ჩათრეული ადამიანი კარგავს საცხოვრებელს, სხვა მატერიალურ ღირებულებებს და საბოლოოდ, სულიერ განადგურებამდე მიდის.

ძალიან დიდი ხანია, რაც მეცნიერები თავის ტვინის ქერქში სხეულებრივ დონეზე მიმდინარე ქიმიურ პროცესებს იკვლევენ. აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება უნდა განვიხილოთ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემად, ეს არის გარკვეული ქცევის განხორციელების აკვიატებული სურვილი. ამ პრობლემის მოგვარება არა მარტო ბიოლოგიურ დონეზე, არამედ ფსიქიკურსა და სოციალურ დონეზე ხდება.

შესაძლებელია თუ არა ლუდომანებისთვის დამოკიდებულების მოხსნა?

- ამ მდგომარეობას ესაჭიროება მკურნალობა, რადგან აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება ეს არის ქრონიკული დაავადება, რასაც ამ მავნე ქცევაზე დამოკიდებულმა ადამიანმა მთელი სიცოცხლის განმავლობაში უნდა ებრძოლოს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფსიქოთერაპიით მკურნალობას, აუცილებელია სოციალური მუშაკის ჩართულობაც. მნიშვნელოვანია მოთამაშისთვის მის გარშემო მყოფი სოციალური კაპიტალი, იმ შემთხვევაში, თუ მას ჯერ კიდევ შერჩენია. მოგეხსენებათ, მოთამაშე თავისი ფინანსური რესურსის ამოწურვის შემდეგ გადადის სესხის აღებაზე მეგობრებისგან, მეზობლებისგან და ა.შ. რა თქმა უნდა, ვალს ველარ უბრუნებს და ხშირ შემთხვევაში, ისინი შემდგომში მოვალესთან ურთიერთობას გაურბიან.

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების მოხსნა, რასაკვირველია, შეიძლება, თუმცა, შემდგომში შესაძლოა გამოვლინდეს რეციდივი და ამ რეციდივსაც მუდმივად მკურნალობა დასჭირდება. დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების ფსიქიკურ სიძლიერეს, თუ რამდენად ძლიერი გამოდგება იგი საკუთარ თავთან საბრძოლველად.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

# ჩვენმა გაზეთმა შემოინახა

ახლა ძალიან მოდაში შემოვიდა ძველი ხალხური სატრფიალო და ბოჰემური სიმღერების გადამღერება ახალი არანჟირებით, შემსრულებელთა ინტერპრეტანციას ხომ საზღვრები არა აქვს: ზოგი ყურმოკრულ ტექსტს რაღაც ფრაზებს ან სხვა სიმღერის სტროფს მიაბამს და... „ჰიტიც" მზად არის - ხალხმრავალ ადგილებში დაუსრულებლად ტრიალებს ეს პოპულარული სიმღერები და ხალხიც, ბედნიერლიმილმორეული, გავლა-გამოვლისას „სიამოვნებას" ღებულობს. ცოტა ვინმე თუ ფიქრობს, ნეტავ ვინ არის ამა თუ იმ ტექსტის ავტორი, როგორ და ვის მიერ შეიქმნა მელოდია, ვინ იყო მისი პირველი შემსრულებელიო და ასე შემდეგ. ტექსტის დამახინჯების და ავტორის უფლების შელახვის ერთ-ერთ გულსატკენ მაგალითზე ამასწინათ ვწერდი კიდეც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, როცა მომღერალთა ჯგუფმა „მირაჟმა" ბევრისათვის საყვარელი პოეტის მურმან ლებანიძის ცნობილი ლექსი „ციცო" „ქალოთი" და „გოგოთი" შეცვალა და ფართო ბაზარზე თავი დაიმკვიდრა. ვერ გავიგეთ, რით ამჯობინეს „ქალო" და „გოგო" „ციცოს", როცა სამივე ორხმოვანია სიტყვა ორმარცვლიანია და რითმასა და მელოდიაში ზუსტად ერთნაირად ჯდება. თუ დედანი არ უნახავთ, დანარჩენი ტექსტი საიდან ამოიღეს, თუ არა და, რა დაუწუნეს ბატონ მურმანს, რომელსაც, ალბათ, ეს ამბავი ძალიან ეწყინებოდა, ცოცხალი რომ იყოს. მის მაგივრად კი ჩვენ, მისი პოეზიის თაყვანისმცემლებს, გვიჩნდება პროტესტის გრძნობა.

ამასწინათ ტელეკომპანია „რუსთავი-2"-ის საყოველთაოდ ცნობილ და პოპულარულ თოქ-შოუში „პროფილი" მის წამყვანს მაია ასათიანს ბოლო ბლოკში მიწვეული ჰყავდა ასევე ცნობილი მომღერალი ნინო ჩხეიძე და მისი მეწყვილე „ფანდურა" (ბოდიშს ვიხდი, მისი ოფიციალური გვარი და სახელი არ ვიცი). მათ შეასრულეს ახლა ძალიან პოპულარული სიმღერა „მაყვალა". წამყვანის შეკითხვაზე ვისია ამ სიმღერის ტექსტი ან მელოდიაო, „ფანდურამ" უპასუხა: არ ვიცი, რაც თავი მახსოვს, ეს სიმღერა არსებობსო. სიმართლე გითხრათ, მე და ჩემს თაობასაც ბავშობიდან გვახსოვს ეს სიმღერა, მაგრამ ტექსტი რომ გადაკეთებულია, ეს აშკარაა. ქალბატონი ნინოს მისამღერი ხომ მთლად არალოგიკურია:

„გონს მაშინ მოხვალ, როდესაც
შენს გვერდზე გავიჩუჩები,
იქნება კიდეც გლოცავენ
წყევლას ნაჩვევი ტუჩები,

ნახე, რა აღმოვაჩინე, ახლა სულ ყველას ენაზე რომ აკერია „მაყვალას" სიმღერა, თურმე ვისი ტექსტი ყოფილაო! ვნახეთ და ჩვენც ძალიან გაგვიკვირდა. 1957




ნეტავი წყაროდ მაქცია,
შენს სახლთან ჩამომატარა
და შენ კი ჩემად საკრეფად,
სულ ყოველ დილით გატარა".

არავინ იცის, რას ნიშნავს სიტყვა „გავიჩუჩები", ის არც ერთ დიალექტში არ გვხვდება, არც ქართული სიტყვის განმარტებით ლექსიკონშია და არც სულხან-საბას აქვს სადმე ახსნილი. ალბათ იმისათვის დასჭირდათ, „ჩუჩები" „ტუჩებს" რომ გარითმვოდა. აქვე „წყაროს საკრეფად სიარული" რას ნიშნავს, ვინმემ თუ იცით!? სასურველია, ჩვენი მომღერლები თუ კომპოზიტორები უფრო სერიოზულად მოეკიდონ ტექსტის შინაარს და მის გამართულობას, ძველი მელოდიების გადმომღერებისას კი მოიძიონ თავდაპირველი ტექსტები. ჩვენ კი დღეს სწორედ ერთ ასეთ ტექსტზე გვინდა გიამბოთ: გაინტერესებთ, ვის და როგორ შეუყვარდა „მაყვალას შავი თვალები?"

ამას წინათ ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმის მმართველი და ჩვენი რაიონის კულტურის დიდი მოამაგე ქალბატონი ნელი გობეჯიშვილი რედაქციაში გვეწვია და გვთხოვა ძველი წლების გაზეთის კომპლექტებს გადავათვალიერებ, იქნებ სადმე მივაგნო, რას ეძახდნენ ნიკო ფიროსმანაშვილის საგვარეულოს იმ შტოს, რომელსაც ის ეკუთვნოდა, ანუ ვისიანთია, ფიროსმანაშვილები ხომ დიდი გვარიაო. მთელი დღე ჩაჰკირკიტებდა გაყვითლებულ ფურცლებს. (ცნობისათვის, ჩვენი რედაქცია ინახავს „შირაქის" წიგნად აკინძულ კომპლექტებს 1942 წლიდან). უცებ ძალიან გაოცებული ხმით მიმიხმო და მითხრა: წლის 5 მაისის №52 (1.772)-ში მესამე გვერდზე ვკითხულობთ:

**„სხვა მრავალ მუშსოფლკორებთან ერთად ჩვენს გაზეთში აქტიურად თანამშრომლობს ბარში ახლადჩამოსახლებული ხევსური, არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ალექსი წიკლაური. საკოლმეურნეო ცხოვრების ცოცხალი ფაქტების შესახებ წერილებისა და ინფორმაციების გარდა, იგი გვაწვდის ლექსებს, ნარკვევებს და სხვა ჟანრის ნაწარმოებებს.**

**ქვემოთ ვბეჭდავთ მის ერთ ლექსს და ნარკვევს."**

ნარკვევისა რა მოგახსენოთ, ის ერთი არხილოსკალოელი მშრომელი კაცის ცხოვრებას გადმოგვცემს, ლექსს კი ჩვენც უცვლელად გთავაზობთ, თქვენ თავად განსაჯეთ, შეაფასეთ და შეადარეთ დღევანდელ ნამღერს.

## სიმღერა თუშის ქალზე

შირაქში მეოფი ხევსური
მომხიბლა თუშის ქალმაო
მაყვალას მაყვლის თვალებმა
და გიშერივით თმამაო.
არ ვიცი, რამ შემაყვარა
შენი თვალები, მაყვალა,
ნეტავი ფერფლად მაქცია
და თქვენს ეზოში დამყარა.
ქალო, შრომაში გამრჯელო,
შემკულო ყველაფერითა,
რამ გაგიშავა თვალები,
თოვლს კი შეგევხარ ფერითა,
სიმღერად შეგკრავ ყვავილებს,
მოგიტან ჩემი ხელითა.
ვიცი, შენც გიყვარს შირაქი,
თავისი მინდორ-ველითა,
ჩამოდი, გაგიზიარო,
შენც დატკბი მისი ცქერითა.
ალვანით შირაქს მომხიბლა
შენმა ნარნარა ხმამაო,
გიმღერი თუშის ქალაო,
შირაქის პატარძალაო.
შირაქის ცაზე კიაფობს
შენი თვალები, მაყვალა,
ნეტავი ფერფლად მაქცია
და თქვენს
ეზოში დამყარა.

იმის დასამტკიცებლად, რომ „კოლმეურნე პოეტი,'' როგორც თავად უწოდებს თავის თავს, არაერთი კარგი ლექსის ავტორი იყო და ლიტერატურაშიც საკმაოდ ერკვეოდა (ზოგიერთი „ქალური ლოგიკის'' ლამაზმანი გოგონებისგან განსხვავებით), გთავაზობთ კიდევ ორ ლექსს, რომელიც ილია ჭავჭავაძეს ეძღვნებოდა (1957 წელი ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 120 და გარდაცვალებიდან 50 წლისათვის გახლდათ).

ილია ჭავჭავაძეს ჰყავდა ერთი ძმადნაფიცი ხევსური ჩაჩურ არაბული, რომელმაც მეფის ჯარში ყოფნის დროს გაიგო ილიას მკვლელობის ამბავი. მისმა მეუღლემ, ქმრის სურვილის თანახმად, ბავშვს ილია დაარქვა.

## ძმადნაფიცნი

ყვარელში შეხვდა პირველად
ხევსური არაბული,
მთელი დღე იმასლაათეს,
ერთად გატეხეს პური,
ღვინოში ვერცხლი ჩათალეს,
ძმად გაიფიცნენ გულით:
„ძმები ვართ, კეთილისათვის
ვიბრძოლებთ, ვსუნთქავთ ვიდრე,
ხელთა გვაქვს ხმალი, კალამი
გავანადგურებთ ფლიდებს,
დრო მოვა, მშრომელისათვის
სამუდამოდ იამინდებს."
საგურამოშიც ხევსური
ბევრჯერ ესტუმრა მგოსანს,
კაკლის ქვეშ ბჭობდნენ ხალხისთვის
რაც მოეტანა დრო-ჟამს.
ჩვენი ნაცნობი ხევსური,
საზღვრებს იცავდა მაშინ,
იქ უთხრეს მგოსნის სიკვდილი,
ატირდა როგორც ბავშვი.
უნდოდა სისხლის აღება
მკვლელის გაწვევა ხმალში.
მეუღლეს შემოუთვალა
გულფიცხმა სიტყვა ტკბილმა:
„ის მოკლეს! ჩემი გულიცა
ვეღარ იპოვნოს ლხინმა,
დიაცო, მისი სახელი
ატაროს ჩვენმა შვილმა ."
არაბულს ბედმა უმტყუვნა,
ვეღარ იხილა მთები,
გაღმიდან მალვით ნასროლმა
ტყვიამ დაუწვა მხრები,
მთაში მის ჩოხა-პერანგზე
მწარედ ტიროდნენ დები.
პატარა დარჩა ილია,
ზარდა კეთილმა დედამ,
როცა მონობის უღელი,
გატეხა ხალხის ქედმა,
მაშინ ილიამ სკოლისკენ
გადააბიჯა მხნედა.
თბილისშიც ჩამოდიოდა,
მთაწმინდელების თქმითა,
ერთი ხევსური ჭაბუკი
ილიას ლექსებს თვლიდა
და ჭავჭავაძის საფლავზე
მდუმარედ თავსა ხრიდა.

ალ. წიკლაური,
კოლმეურნე პოეტი.
გაზეთი „ახალი შირაქი"
1957 წ. 9 აგვისტო, №93.

***

## ილია ჭავჭავაძეს

შენ ვერ მოგკლეს, საყვარელო ილია,
შენ ისვენებ, მთაწმინდაზე გძინია,
ყვარლის მთებზე მზე ზის ფრთაგაშლილია,
გურამიანთ კარებზედაც ლხინია,
ცოცხალი ხარ ბრძენი ხალხის შვილია
და სიცოცხლეც ახლა ტკბილზე ტკბილია,
შენი გული ახლაც ისევ თბილია,
გვესაუბრე, საყვარელო ილია!

ალ. წიკლაური,
ხევსური პოეტი.
1957 წ. 13 სექტემბერი
№108

ხედავთ, ძვირფასო მკითხველო, რა საიდუმლოებებს ხსნის ჩვენი გაზეთის გაყვითლებული ფურცლები?! აი, სწორედ ამიტომ უნდა იარსებოს ადგილობრივმა გაზეთმა, რომ შემოინახოს ჩვენი ყოფის, კულტურის, სპორტის, მრწამსის და მისწრაფებების შესახებ უტყუარი ფაქტები.

ასეთი მრწამსის გამო შვიდ ათეულ წელზე მეტია, რედაქციის თანამშრომლები (ძველებიც და ახლებიც) ერთგულად ემსახურებიან საშვილიშვილო საქმეს. ის, რაც დღეს ჩვეულებრივად საკითხავია, ათეული წლების შემდეგ ჩვენი რაიონის და ხალხის ისტორიად იქცევა და უამრავ ინფორმაციას მიაწვდის მომავალ თაობას.

ნაირა გორაშვილი

---

**მონატრება**

## ტარიელ კუპატაძე



ერთი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან, ჩვენო ტარიელ. 4 ივლისი ძალიან მტკივნეული თარიღია ჩვენთვის. დრო ყველაფრის მკურნალიაო, - უთქვამთ, მაგრამ ჩვენ ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში ნაკლებად ვრწმუნდებით, რადგან დროის მდინარებასთან ერთად უფრო ძლიერი ხდება შენი მონატრება, შენი ღიმილი, შენი იუმორი, ცხოვრებას რომ გვილამაზებდა და გვიიოლებდა. ძალიან გვიჭირს უშენობა, განსაკუთრებით შენი გარდაცვალების დღეს. ტკივილისა და მონატრების გრძნობა გვიორკეცდება და ერთადერთი საშველი ისღაა, რომ მოვიდეთ შენს სამუდამო განსასვენებელთან, აგინთოთ წმინდა სანთლები და ღმერთს შევთხოვოთ, ნათელში ამყოფოს შენი სული.ასე იყო წელსაც, შენი გარდაცვალების წლისთავზე და ასე იქნება მანამ, სანამდე ჩვენ ვიცოცხლებთ.

მეუღლე, შვილები და
შვილიშვილები

**ხსოვნა**

## ნუგზარ ტალიაშვილი



12 ივლისს ორმოცი დღე გავა, რაც ამქვეყნიური ცხოვრებიდან მარადისობაში გადასახლდი. 63 წელი იცოცხლე, ეს არც ბევრია, არც ცოტაა, ადამიანმა თავისი სახელი რომ დატოვოს. შენ კარგი, გულისხმიერი და კეთილი ადამიანის სახელი მოიპოვე. ცხოვრება მხნედ და ხალისიანად განვლე. აქტიური ცხოვრებით იცხოვრე. წლების განმავლობაში მუშაობდი სოფლის მეურნეობაში, შემდეგ - ვაჭრობაში.ყველგან კარგი მუშაობით ისახელე თავი. ბოლოს საკუთარი ბიზნესი წამოიწყე, პურის საცხობი გქონდა. ამ საქმესაც კარგად გაართვი თავი.

ბოლო წელი მძიმე იყო შენთვის - ავადმყოფობას ვეღარ გაუმკლავდი. მძიმე ავადმყოფი იყავი, მაგრამ სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდი. 3 ივნისის დილას კი უცაბედი სიკვდილით გარდაიცვალე.

ჩვენი ოჯახის ტკივილი გაიზიარეს ნათესავებმა, მეზობლებმა, მეგობრებმა. მადლობას ვუხდით ყველას, ვინც სიცოცხლეში თუ სიკვდილის შემდეგ მხარში დაგვიდგა და შეგვაძლებინა, ღირსეულად გაგვეცილებინა უკანასკნელ გზაზე.

ჩვენთვის ძალიან ძნელია და აუტანელია უშენობა. ახლა სხვა რაღა დაგვრჩენია - ორმოცი დღეა, ვლოცულობთ შენი სულისთვის. უფალმა ნათელი დაგიმკვიდროს და მშვიდად განისვენე იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

მეუღლე ლეილა
ჯამასპიშვილი,
შვილები დალი, ლალი,
ზურა ტალიაშვილები.

---

ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაცია თანაგრძნობას უცხადებს ამავე ორგანიზაციის პასუხისმგებელ მდივანს ლია ჩოქურს დედის

ელიკოს

გარდაცვალების გამო.

# უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

## ცარო მარტიაშვილს!
## თამაზ რაფავას!

გილოცავთ ქორწინებას. გისურვებთ, თქვენი ცხოვრება სავსე ყოფილიყოს ლამაზი დღეებითა და ბედნიერი წუთებით!

სიყვარულით,
დედოფლისწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრი

## ზურაბ შიოლაშვილს!
## თეო სულაშვილს!

გილოცავთ პირველი შვილის–მარიამის დაბადებას. თქვენ ბედნიერ მშობლობას, პატარას კი ულრუბლო ცას და ჯანმრთელობას ვუსურვებთ.

სიყვარულით,
ვანო, ინგა, ირმა შიოლაშვილები, ქეთი მუშკუდიანი

# ს პ ო რ ტ ი

## შავი ზღვის თასი სანდაში დედოფლისწყაროს გუნდი თასით დაბრუნდა

4-5 ივნისს ქ. ბათუმში ჩატარდა შავი ზღვის თასი კუნგ-ფუ სანდაში, სადაც დედოფლისწყაროს საბრძოლო ხელოვნებათა კლუბი სამი სპორტსმენით მონაწილეობდა. სამივე მათგანი ჩემპიონი გახდა და მათ ყაროდან ამ ტურნირზე ჩემპიონები გახდნენ და ოქროს მედლები დაისაკუთრეს: ნიკა ჩიტიშვილმა (№1 საჯარო სკოლა) ლაშა ლათიბაშვილმა (№2 საჯარო სკოლა) და ლევან წიკლაური (რუსულ-ქართული საჯარო სკოლა). საკმაოდ დამაჯერებლად იბრძოდა ახალბედა ლაშა ლათიბაშვილი, რომელიც მხოლოდ რამდენიმე თვეა ვარჯიშობს და უკვე ასეთი დიდი ტურნირის მოგება შეძლო, ასევე ლამაზი ორთაბრძოლები აჩვენეს ლევან წიკლაურმა და ნიკა ჩიტიშვილმა რომლებმაც სასომხეთის ნაკრების წევრები დაამარცხეს და



მწვრთნელს გიორგი ცისკარაულს გუნდური თასიც გადაეცა. ტურნირში მონაწილეობას იღებდა დასავლეთ საქართველოს კლუბები და სასომხეთის ნაკრები გუნდი, დედოფლისწ- ჩემპიონებიც გახდნენ. გვინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ კულტურისა და სპორტის სამსახურის დირექტორს ივანე შანშიაშვილს გვერდში დგომისთვის და მხარდაჭერისთვის.

## ბრძოლა საქართველოს პირველობისთვის

23-24 ივნისს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში. ჩემპიონატში ასპარეზობდნენ 2000-2001 წლებში დაბადებული ფალავნები. ტურნირზე არავის ჩამორჩნენ დედოფლისწყაროელი სპორტსმენები, სადაც ჩვენი რაიონი ზემო ქედის, არხილოსკალოს და ზემო მაჩხაანის მოჭიდავეთა ნაკრებებმა წარმოაჩინეს. ჩვენი ბიჭების ასპარეზობა გამარჯვებით დამთავრდა და ტურნირის ჩემპიონი ზემო ქედელი ლაშა ბექაური გახდა (42 კგ. წონით კატეგორიაში).მისი მწვრთნელი გახლავთ კახა წიკლაური. ტურნირის დასასრულს გამარჯვებულ ლაშა ბექაურთან სამახსოვრო სურათები გადაიღეს ევროპის მრავალგზის ჩემპიონმა ანზორ მარტყოფლიშვილმა და საქართველოს რვაგზის ფალავანმა ალექსი დავითაშვილმა.



ლალი მეხრიშვილი.

**სს საქართველოს ბანკის** მცირე და საშუალო ბიზნესის საბანკო მომსახურების დეპარტამენტი აცხადებს ვაკანსიებს **დედოფლისწყაროში** შემდეგ თანამდებობებზე:

### საკრედიტო ასისტენტი

**ძირითადი მოვალეობები:**

- მომხმარებლებთან ადგილზე ვიზიტის დაგეგმვა და განხორციელება;
- მომხმარებლებისათვის ბანკის მომსახურების სარგებლიანობის და საბანკო პროდუქტების პრეზენტაცია;
- მომხმარებლის მოთხოვნის იდენტიფიცირება, შესაბამისი პროდუქტის შეთავაზება და ამ პროდუქტის უპირატესობის ახსნა;
- პერიოდული უკუკავშირის მიღება პოტენციური მომხმარებლებისგან;
- სარეკლამო ბუკლეტების და ბროშურების დარიგება პოტენციური მომხმარებლებისათვის.

### საკრედიტო ექსპერტი

**ძირითადი მოვალეობები:**

- მომხმარებლის მოთხოვნის იდენტიფიცირება, შესაბამისი პროდუქტის შეთავაზება, ამ პროდუქტის უპირატესობის ახსნა;
- საჭიროების შეთხვევაში პირდაპირი მარკეტინგის წარმოება;
- ჯვარედინი გაყიდვები — კომპანიის პროდუქტების სრული სპექტრის შეთავაზება;
- მომხმარებლის ბიზნეს საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობის შესწავლა/ანალიზი;
- საკრედიტო განაცხადის მომზადება და კომიტეტზე წარდგენა;
- სესხის რეგისტრაცია/გაცემა;
- პორტფელის მონიტორინგი;
- პრობლემური სესხის მართვა;
- საკრედიტო ასისტენტის ონ-ჯობ ტრენინგი და შედეგის შეფასება.

### სავალდებულო მოთხოვნები:

**განათლება:** უმაღლესი, სასურველია ეკონომიკა, ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ტექნიკური სპეციალობები;
**სამუშაო გამოცდილება:** მინ. 6 თვიანი მუშაობის გამოცდილება დაკრედიტების მიმართულებით ბანკში და/ან საკრედიტო ორგანიზაციაში.

### სავალდებულო ცოდნა, უნარები:

- საკრედიტო პროდუქტების ცოდნა;
- დაკრედიტების იურიდიული ასპექტები (სავალდებულო დოკუმენტაცია);
- ფინანსური ანალიზი (ბალანსი, მოგება-ზარალი, ფულადი ნაკადების უწყისი);
- გაყიდვების ტექნიკა;
- ენები: ქართული თავისუფლად (გამართული ლიტერატურული ენა), სასურველია რუსული ენის ცოდნა;
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
- გაყიდვების უნარი, დამარწმუნებელი, არგუმენტირებული და გამართული ვერბალური კომუნიკაცია;
- სამუშაოს და დროის დაგეგმვის უნარი;
- სხარტი, ლოგიკური, ანალიტიკური აზროვნება, ინტუიცია;
- მიზანდასახულობა, განვითარების სურვილი;
- პრინციპულობა, გუნდური მუშაობის უნარი, მოქნილობა, ინიციატივა, ენერგიულობა, აქტიურობა;
- პასუხისმგებლობის გრძნობა, ორგანიზებულობა, მოწესრიგებულობა, ყურადღება დეტალების მიმართ, სტრესულ, დაძაბულ სამუშაო გარემოში მუშაობის უნარი.

### უფროსი საკრედიტო ექსპერტი

**ძირითადი მოვალეობები:**

- საკრედიტო ექსპერტების, პრომოუტერებისა და საკრედიტო ასისტენტების საქმიანობის კოორდინაცია: ყოველდღიური საქმიანობის დაგეგმვა, კოორდინაცია, გეგმების შესრულების და მუშაობის ხარისხის კონტროლი;
- მომხმარებლის მოთხოვნის იდენტიფიცირება, შესაბამისი პროდუქტის შეთავაზება, ამ პროდუქტის უპირატესობის ახსნა;
- საჭიროების შეთხვევაში პირდაპირი მარკეტინგის წარმოება;
- ჯვარედინი გაყიდვები — კომპანიის პროდუქტების სრული სპექტრის შეთავაზება;
- მომხმარებლის ბიზნეს საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობის შესწავლა/ანალიზი;
- საკრედიტო განაცხადის მომზადება და კომიტეტზე წარდგენა;
- სესხის რეგისტრაცია/გაცემა;
- პორტფელის მონიტორინგი;
- პრობლემური სესხის მართვა;
- საკრედიტო ასისტენტის ონ-ჯობ ტრენინგი და შედეგის შეფასება.
- 

**დაინტერესებულ კანდიდატებს გთხოვთ გამოაგზავნოთ სს საქართველოს ბანკის სააპლიკაციო ფორმა (შეგიძლიათ აიღოთ მისამართზე: ქ. თელავი, ჭავჭავაძის 6, სს საქართველოს ბანკის თელავის სერვისცენტრი; ქ. გურჯაანი, ნონეშვილის 12, სს საქართველოს ბანკის გურჯაანის სერვისცენტრი; ქ. სიღნაღი, 9 აპრილის ქ 15, სს საქართველოს ბანკის სიღნაღის სერვისცენტრი; ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის 34, სს საქართველოს ბანკის ყვარლის სერვისცენტრი; ქ. საგარეჯო, აღმაშენებლის ქ. 17, სს საქართველოს ბანკის საგარეჯოს სერვისცენტრი; ქ. წნორი, აღმაშენებლის ქ. 38, სს საქართველოს ბანკის წნორის სერვისცენტრი) ელექტრონული ფოსტით მისამართზე:** regionjob@bog.ge ***(გთხოვთ მიუთითოთ ვაკანსიის სახელწოდება, რომელზეც აგზავნით სააპლიკაციო ფორმას.)***
**განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 11 ივლისი, 2012 წელი.**

## ყურადღება, იყიდება!

სასწრაფოდ იყიდება გერმანული წარმოების პიანინო **„როსლერი“** საუკეთესო მდგომარეობაში. ვიზუალურად მეტად ორიგინალურია: გადაწყვეტილია კომბინირებულად - ჩალისფერსა და შინდისფერში.
მსურველებმა დარეკეთ: 599 98 24 88
იკითხეთ ნინო.



## ი ყ ი დ ე ბ ა

იყიდება საუკეთესო ხარისხის ნატურალური ენამთის ღვინო და არაყი. დარეკეთ 551-25-17-44 ან მოაკითხეთ: ქ. დედოფლისწყარო, ევდოშვილის III შესახვევი, ბინა №4.
იკითხეთ გოგი

## ამინდი დედოფლისწყარო

| შაბათი 07.07 დღე | შაბათი 07.07 ღამე | კვირა 08.07 დღე | კვირა 08.07 ღამე | ორშაბათი 09.07 დღე | ორშაბათი 09.07 ღამე | სამშაბათი 10.07 დღე | სამშაბათი 10.07 ღამე | ოთხშაბათი 11.07 დღე | ოთხშაბათი 11.07 ღამე | ხუთშაბათი 12.07 დღე | ხუთშაბათი 12.07 ღამე | პარასკევი 13.07 დღე | პარასკევი 13.07 ღამე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 26° | 19° | 24° | 20° | 20° | 19° | 22° | 21° | 24° | 21° | 24° | 23° | 26° | 24° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორესპონდენტები); მიხეილ მღებრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
დაიბეჭდა შ.პ.ს „საარის“ სტამბაში

რედაქციის მისამართი:
ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K